

140 19  
1982 №3

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



საბავშვო

3  
1982



**ნაჩიზა მგელაძე,**  
საქართველოს კომკავშირის  
პრემიის ლაურეატი

საქართველოს კომკავშირი, რომლის რიგებშიც დღეისათვის 840.000-ზე მეტი ქაბუკი და ქალიშვილია, თავის XX XII ყრილობაზე კენჭმარტივად სახელგანთქანი გამარჯვებებით მოვიდა. წინა ყრილობას სხვა სახელოვან საქმეთა შორის მოხსენდა შემდეგი: „წინა ყრილობიდან დღემდე განვლილ პერიოდში რესპუბლიკაში აშენდა 304 ახალი სასკოლო შენობა 126 ათასი მოსწავლისათვის; 5000-ზე მეტი სასკოლო კაბინეტი აღიჭურვა სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინოების მასალებით; 204 სკოლა გადავიდა ერთკვლიან შეციდინებობაზე. სხვადასხვა რესპუ-

ბლიკურ საგნობრივ კონკურსებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობა მიიღო 128.800-ზე მეტმა უფროსკლასელებმა;

2000 ნორჩი ტექნიკოსი დაჯილდოვდა საქართველოს აღკც ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს სიგელებითა და დიპლომებით;

რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების 105 ათასი მონაწილიდან ჯილდოებით აღინიშნა 1405 მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევარი...“

ახლანდელი, XX XII ყრილობა კი ვაცილებით მეტი და თვალსაჩინო საქმეების შესახებ მოისმენს პატაკს. მართკ ერთი — სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — საქართველოს კომკავშირის დროშაზე მიბნეული

ლენინის ორდენი რად დიროს რა ტიტულური შრომის, მიღწევებისა და ქმედების, შემართების სიმბოლოა იგი! მაგრამ, დიდ სიხარულთან ერთად, ბელადის სახე და სახელი ჩვენს დროშაზე დიდ პასუხისმგებლობასა და მოვალეობასაც ნიშნავს. როგორც ყოველთვის, დიდი ზემოის დროს, დღესაც კომკავშირული ყრილობის კვირაძალზე ჩვენი ხსენვა და მზერა მიპყრობილია იმ პირველ გამკვლევათკენ, რომლებიც პირველ ქვეებს აწყობდნენ იმ ნათელი სასახლის საძირკველში, საქართველოს აწ უკვე ლენინის ორდენისანი კომკავშირი რომ ჰქვია.

როგორ გამოიყურებოდნენ, რა საქმეებს ერკინებოდნენ ისინი? „საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ჩვენ ვეზმარებოდით პარტიას შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებაში და ენერგიულად ვამზადებით ნიადაგს ვაბატონებული ხელისუფლების დასამზობად. ამას გარდა, ჩვენ გამოვეციით რამდენიმე ბროშურა, პროკლამაციები, მოწოდებანი და სხვა“.

ასე აფასებდა საქართველოს კომკავშირის აღიარებული ლიდერი ბორის ძნლოაძე აჯანყებისათვის მზადების პერიოდში საქართველოს კომკავშირის მიერ ჩატარებულ შემუშობას, ბორისი 1919 წლის ოქტომბრიდან 1920 წლის აგვისტომდე დაბატონებული იყო ხუთჯერ, გადასახლებული — ორჯერ, გამოქცევა გადასახლებებიდან...

კითხვაზე: განიცადეთ თუ არა რეპრესიები პარტიული მუშაობისათვის, როდის და როგორ, ბორისმა უპასუხა: „განვიცადე, 1919 წლის აჯანყების დროს დაბატონრებული ვიქნე და ვიჯექი ოზურგეთის ციხეში... 1920 წლის დასაწყისში კვლავ დაშაბატონრეს და გადასახლდნე ბაქოში, 10 დღის შემდეგ ჩამოვედი არალეგალურად, ვმუშაობდი თბილისში, კვლავ დაშაბატონრეს და ჩამიყვან მტერის ციხეში, სადაც ვიქნე მტრისხეგარი თვე, შემდეგ ვიქნე ჭუთისის ციხეში. ლეგალიზაციის შემდეგ განათვისუფლებულ ვიქნე, კვლავ დაშაბატონრეს და რესპუბლიკის სახლერებიდან გადამსახლეს“.

და მაინც ვერ გატეხეს მჭქეფარე რეგულაციონიერის რწმენა.

იზრდებოდა საქართველოს კომკავშირი, სინდლეებთან ჭიდილომ იწრობოდა, დიდ სიძალეულ ფტენისათვის ისწრაფებდა ფტრთებს. გამარჯვებულმა დაპქოთა ხელისუფლებამ ბოძოლა გაუქოლა ჩამორჩენილობას, სინდლეს, წერა-კითხ-



საქართველოს დამოუკიდებლობისათვის  
XXXII წელიწადი  
შენსახეარად

ის უკოდინარობდა; დაიწყო ქვეყნის  
ელექტრიფიკაცია, კომუნიკაციებისა  
და ყველაფერი, ყველაზე ძნელ უბ-  
ნებზე გაიშალა ბრძანება:  
— კომუნისტებო და კომკავშირ-  
ელებო, წინ!

აისად, არასოდეს არ გაუწვილებ-  
ია ჩვენს კომკავშირელებს ეს სა-  
ბრძოლო მოწოდება, ებრძოდნენ შე-  
ნაღობულ კულაკებს, აგებდნენ ქარ-  
ხნებს, ელექტროსადგურებს, სკოლ-  
ებს. და აი, დაქარა თითქმის საფრ-  
ედლანამშობლოს სიკაცოებს საფრ-  
ედლად დაეძურა: ვერაჯი მტერი —  
ფაშისტური გერმანია თავს დაესვა  
ჩვენს ქვეყანას.

მისისხე გამოცდის ეამს ყველა-  
ზე ნათლად გამოვლინდა ჩვენი კომ-  
კავშირელების გმირობა და სულის  
სიღერ.

კერ კიდევ ომის დაწყებამდე თა-  
ვისი თაობის სახელით წერდა ჰაბუ-  
კი მირზა გელოვანი:

თუ ოდესმე, როგორც ძველად,  
ამ ცას ვინმე შეგვიკოცლოს,  
წმინდა ვაილის მოსახლელად  
უყოყმანოდ შეგვირბოს!

დადა ფიცის აღსრულების დრო.  
აი სტრეიჩები, რომელთა ავტო-  
რები სულაც არ ფიქრობდნენ, რომ  
ეს სახელდახლოდ დაწერილი, მაგ-  
რამ გულიდან ამოხეთქილი სიტყვებ-  
მა კომკავშირულ მატინაჟში დარჩ-  
ნებოდა:

„ჩვენ გვინდა, ბრძოლაში წავიდეთ  
პირდაპირ ორგება მხეცების გა-  
სახადგურებლად, როგორც კომკავ-  
შირელები.“

**წიგათშვილი, გვილია.**

„მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი,  
შევიდე წილად არმიასი და მონაწი-  
ლეობა მივიღო ფაშისტური არმი-  
ის განადგურებაში. ეს თვით, რაც  
შეიძლება დააჩქაროთ ჩემი განცხა-  
დების განხილვა და გამაზავნოთ  
ფრონტზე.“

**თამარ ცერცვაძე.**

„დედა, ჩვენმა ნაწილმა პოლტავა,  
მირგოროდ უკან მიიტრიალა, იერიშ-

ით გაათავისუფლა პატარა ქალაქი  
ხორლო. ეს პატარა, ოდესღაც ლა-  
მაზი ქალაქი ნაცარტუტად არის  
ქცეული. დედოკო, შემთხვევით გა-  
დაჩინილი ერთ პატარა სახლში შე-  
ვედი. რა ვახებ, იქვე გავშეშდი: არა-  
მხელა ფაშისტებს ჩვილი ბავშვი აყ-  
ვანში ჩაკვალა. ბავშვის დედა იმვე  
დახობილიყო გულწასული. მიზე-  
თი უბება და ბაბულები ქეთილი  
წებდნენ. შემოგვეხედეს, თითქოს  
შეგულან ვეთხოვდნენ. დედი, მე და  
ჩვენმა მებრძოლებმა ფიცად დავდეთ  
— შურის ვძიებთ, გავვლეთუ ავახა-  
ვებთ, კაცობრივად, ჩემი გული სა-  
ესეა მტერის სიძულვილი.“

„...მაღე ჩვენი მიწა-წყლიდან სა-  
მუდამოდ აღგვებიან წყველი ფაშ-  
ისტები, რომლებმაც ჩვენს ხალხს,  
ჩვენს ქვეყანას, ისოდენი ტანჯვა და  
მწუხარება მიაციეს. ჩემზე ნუ იდ-  
არდებ, საყვარელო დედოკო, მაღე  
მტრეზე გამარჯვებული, ნაომაირ,  
ორდენებით მკერდდაშეშვებული  
შვილი დავგბრუნებ.“

ვერ დაუბრუნდა დედას ამ სტრი-  
ქონების ავტორი, საბჭოთა კავშირ-  
ის გმირი ვახტანგ ჩიქოვანი, ისევე,  
როგორც ვერ დაბრუნდნენ მირზა  
გელოვანი, შოთა გამცილებიძე, გრი-  
გოლ სხულუხია, ზოია რუხაძე... სა-  
დაგვიროდ, დავგბრუნდა ლეგენ-  
და მათ გმირობაზე, უკვდავებაზე: სამა-  
გიეროდ, დავგბრუნდა მშვიდობა  
და უღრუბლო ზეცა; ყველაფერი ეს  
ჩვენმა ლიბლის ბიჭებმა დავგბრუ-  
ნეს.

ასე იცოდნენ ფიცის ერთვლება  
ჩვენმა კომკავშირელებმა.

გმირული ესტაფეტა გრძელდება.  
როცა საქართველოს კომკავშირის  
ლორემა ჯაკავშირო ლეკ ცენტრა-  
ლური კომიტეტის პირველმა მდივან-  
მა პ. პასტუხოვმა ლენინის ორდენი  
მიანიდა და სასიხარულო დღეს სრუ-  
ლად საქართველო, მისი ყველა თა-  
ობა ზეიძობდა.

მინდა გავაცნოთ ორი თაობის თო-  
თი წარმომადგენლის წერილი.

ერთ მკვრის მთელი ქვეყანა იც-  
ნობს, ან დაპარტახებული მტერის ბუ-  
ნავში, რაინსტაცის თავზე, მარჯავე-  
ლის დროშა აღმართა; ხოლო მეორე,  
რომლის მეტრდს გმირის ვარსკლავი  
ამშვენებს, ჩვენი თანამებრძოვეა.  
საქართველოს კომკავშირის ჯილღო  
თანაბრად ეკუთვნის ერთსაც და მე-  
ორესაც.

„მე საქართველოს ახალგაზრდო-  
ბის იმ თაობას ვეკუთვნი, რომელმაც  
დიდი სამამულო ომის მძიმე წლებ-  
ში ჩააბარა ძნელი გამოცდა. დედასა-  
მშობლისათვის დამიზნებულ ტყუი-  
ლს უშეგვრდა საკუთარ მეტრდს თითო-

ეული ჩვენგანი. ტყვიით გახრებ-  
ილი კომკავშირული ბილეთები არიან  
მოქმენი იმისა, რომ ბრძოლის ველ-  
ზე ბევრი დავიც ვალმობილი მამ-  
ულის წინაშე. ცოცხლად დარჩენი-  
ლები, ომის ვეტერანები წმინდად  
ვინახავთ მათ სხოვანს, რადან არ  
შეიძლება იმ განსჯილვოსა და გა-  
ვიტარების დაიფიცება, რაც საბჭოთა  
ხალხს გადახდა თავს.“

დღეს, როდესაც თქვენ ვიყუ-  
რებით, თქვენს მრავალგეოვანს, გა-  
ინტერესო ცხოვრებასა და შრომას  
ვედენებ თვალს, მე ბედნიერილ მი-  
მანია ჩემი თავი, რომ წვლილი შე-  
ვიტანე იმაში, რათა თქვენ მშვიდო-  
ბიანად და ლაღად გვეცხოვროთ.

ჩემს თავს უფლებას ვაძლევ, ომ-  
ის ვეტერანთა სახელით მოგილოცო-  
თი საპატიო ჯილღო — ლენინის  
ორდენი. კვლავაც დიდიხულოდ გე-  
ტარებინით ესტაფეტა, რომელიც  
ასეთი წარმატებით მიიღეთ ჩვენგან  
— რესპუბლიკის წინა თაობების კო-  
მკავშირელებისათვის.“

**მელიტონ ქანთარია,**  
საბჭოთა კავშირის გმირი“

„რომელიცაინი წლების კომკავშირ-  
ელთა ლაშქრის წარმომადგენელი  
იყო მამანიძე, საბჭოთა კავშირის  
გმირი გრიგოლ სხულუხია, რომე-  
ლიც მომავლის ღრმა რწმენით შეე-  
წილა სამშობლის ფაშისტებისაგან  
გათავისუფლებას, მისი სხვაინდელ  
დღეს.“

და აი, ასრულდა მისი და მისი თა-  
ობის კომკავშირელობა ნატრაც —  
თავისუფალი სამშობლოში მშვიდო-  
ბის და აღმშენებლობის დროშა  
ფრონტებს.

ლენინის ორდენი დამსახურებული  
აღიარება წლების მანძილზე ბრძო-  
ლასა და შრომაში გამთხნილი  
სიმახიცისა. სულ ასე გვევლის —  
ჩვენი სოციალისტური სამშობლის  
დიდი სიყვარულითა და ნაყელი მო-  
მავლის ღრმა რწმენით.

ასე ეწერა წინა თაობების კომკავ-  
შირელობა საბრძოლო დროშაზე და  
ჩვენც ხომ მაიი შთამომავლებს ვართ  
— სისხლი სისხლთაგანი და სიროცა  
ხორცთაგანი.

**ვიანა ანსულუხია,**  
სოციალისტური შრომის გმირი“

ჩემი წერილი, რომელიც ძირდა-  
დად სხვადასხვა თაობის წარმომად-  
გენელთა სტრეიჩონებზე შევაჯე, რ-

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის  
XXXII წელიწადი  
1976 წლის  
საქართველოს დამოუკიდებლობისათვის  
XXXII წელიწადი  
1976 წლის  
საქართველოს დამოუკიდებლობისათვის  
XXXII წელიწადი  
1976 წლის

**კვირეკი**  
3 მარტი 1982

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის  
XXXII წელიწადი

# შსსსპოპო

კარლი  
კობახიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მახტარი  
ჯაბაღა ლოლა

ავტობუსი რომ დაიძრა, ახლა კიდევ სირ-  
ცხლის ოფმა ამიწვა თვალები — გრო-  
ში არ მიუყაოდა ჯიბეში და როგორღა უნდა ამელო ბი-  
ლეთი? ბევრი არაფერია, სულ ოცდაათი კაპიკი ღირს,  
თუმცა ფული ჰქვია მაინც! ბევრი ბევრია და, ცხტა უფ-  
რო არცხვეს აღმაინან. ამის გულისთვის განა ვაღამასხ-  
ლებენ, სხვა არა იყოს რა, ორღობეში არ გამოილევა კე-  
თილი ადამიანი და ავტობუსში რა გამოილევს — ვინმე  
გაიკრავდა ჯიბეზე ხელს. მაგრამ ზოგიერთს დააჯერებ,  
ფული რომ არა გაქვს? ხმაშალა არა გითხრას, ფიქრში  
მაინც გაივლებს, ამ სუფთა, მოვლილი, მშვენიერი ტან-  
საცმლის პატრონის რამ გამოუღია ოცდაათი კაპიკი და  
ნაშუსიო.

ბევრი ხალხი არ იყო ავტობუსში, ხუთად ხუთი კაცი  
ვიღებთ ფეხზე. არ მინდოდა ფოთილახე მეფიქრა, ამ-  
იტომ დავბორიალობდი ფიქრში, უფრო ფოსტალიონის  
ნათქვამისკენ ვეწეოდი გონებას, მაგრამ ვერაფრით ავ-  
უარე გვერდს. არა, მაინც რა დავიბარა, რატომ გაიმე-  
ტრეს დასაკვავად? ნეტა, დედაჩემი სად წვიოდა ამ დი-  
ლადობისა?.. ვფიქრობ და ვფიქრობ, ამასობაში კი ავ-  
ტობუსი თანდათან იმოკლებს გზას და მგზავრებიც მვე-  
მატებთან თანდათან.

უცებ კისერი ამეწვა, აი ისე, რომ გგონია, ვილაღე ნა-  
ცნობი მიუერებნო, მოიხილავ და მართლაც ნაცნობი არ  
არის?! მოვიხილე უკან და თვალებს არ ვუქვრებ: ერთი  
გოგო დგას ფეხზე, ჩემზე ოდნე მაღალია, მთლად მამი-  
დაჩემი ნატოა გამოცხადებულ! — თუმცა რამ გაამამი-  
დაჩემა — ის ბარე სამოცი წლისაა, ეს კი ჩემი ხნისა იქ-

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 2.

თა უფრო ცოცხლად გეგრძნობთ თა-  
ობათა სუნთქვა და გულისძვრა, მა-  
თი ლამაზი სული, რათა მეთქვა, აი,  
ეს ვახლავთ საქართველოს კომკავ-  
შირი-მეთქი, მსურს დაავარსოლო სა-  
კავშირო კომკავშირის ცენტრალური  
კომიტეტის პირველი მდიონი ბ. პა-  
სტუხნოვის სიტყვებით, რომელიც  
მან თბილისში წარმოთქვა ზემის  
დროს:

„ყოველ კომკავშირულ თაობას  
ცხოვრება თავის ამოცანებს უსახავ-  
და. მაგრამ ყველა თაობა თავს მუ-  
დამ ერთი დღიანი არმიის ნაწილად  
თვლიდა, რომელიც რევოლუციამ  
დარაზმა და მოუწოდებდა ემსახურა თა-

ვისი ხალხისათვის.

დღეს ჩვენ ღრმა რწმენით ვიმეო-  
რებთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შე-  
ანიშნავ სიტყვებს: „ვერავინ და ვე-  
რასოდეს დაამარცხებს ქვეყანას, სა-  
დაც ყოველი ახალი თაობა იცავს  
და ამრავლებს წინა თაობათა ტრად-  
იციებს“.

კომკავშირში კარგად იცნობენ ენ-  
გურპისისა და ბამის ნია-გურუნისა-  
იას სადგურის მშენებლების, რუს-  
თაველი მეტალურგების, მოწინავე  
მეჩაიეებისა და მევენახეების, შესე-  
ნიშავი მეცნიერებისა და ხელოვნ-  
ების მოღვაწეების, სახელგანთქმე-  
ლი სპორტსმენების, მრავალი ათასი

ნება, ანდა, ბევრი-ბევრი, წლით უფროსი... ღმერთო, გა-  
მახსენე, სადმე ხომ არ მინახავს?.. ფიქრში, მრევლში-  
ვლეთი, მაგრამ სასიკეთოს ვერაფერს ვერ ვიხსენებ  
ველარ მოვიყო — ისევე უკან გამიქცა თვალები. ის გო-  
გო ისევე ფეხზე დგას, რაც უფრო ვაკვირდები, მით უფ-  
რო ვამჯავნებ ვახალგაზრდავებულ მამიდაჩემს.

— ვანო! — ნაცნობი ხმა ვავიგონე.  
— აქეთ, მოიხიდე, ბიჭო!  
შეგბრუნდი და ვხედავ: გოგია მოსიაშვილი მილიონ  
სარკეში. გოგია ჩემი კარის მეზობელია.  
— საით გაგწვიოდა, ვანო?  
— ისე გამოვიარე.  
— ემაგ ვუღიით იაროს ჩემმა დამაწყვეარმა!.. არ  
ვიცოდე მინც, რა შავი დღით გაგვირდილით, უცე პი-  
რუტყვი ეძახე, ყველაფერი ესმოდა! როგორ შევარდა  
ბალღები, კაცო, როგორ გაუჩერდებოდა ხოლმე სათა-  
მამო! შინდან მდინხარ?  
— სკოლიდან.  
— მერე, იცი, სად არის სასკალო?  
— მივაგნე.  
პიჯაკის ჯიბიდან ხუთმანეთიანი ამოღო და მომამწო-  
და:

— გამომართვი, ტაქსით წადი.  
— რათ მინდა?! — ცილად გამოვწვი ხელი უკან, —  
რომ არ შეჩნდეს, სხვა ამბავია.  
მოედანზე გაჩერდა ავტობუსი, ხალხიც ჩამოსას-  
ვლელად წამოიშალა. ჩემივე ყისიდად ჩავიყვირე ხელი.  
— ეგ ეკადრება ჩვენს ყისობობას?! — გამიწყრა  
გოგია. — ჩაიდი და უჩემოდ არ წახვიდე, მეც ახლავე  
ჩამოვალ.

რა დროს ლოღინი იყო, მაგრამ ხათრი ვერ გავუტე-  
ხი.

ის გოგო, მამიდაჩემს რომ მივაგვანე, აღარ გამხსე-  
ნებია და როცა ვამხსენდა, ჯარი მომიგოდა ჩემს თავზე,  
რატომ თვლი არ გავაკოვლე, ვისთან იყო და საით წვი-  
და-მეთქი. ეს ამბავი აღრე გამხსენებოდა, ყურადღებას  
მივაქცევდი, რა ვიცი, იქნებ ჩემს ნაცნობთან ყოფილი-  
ყო, ამით ამოგხსნილი იმ უცნაურ ამოცანას. ჯავრითა და  
წუხილით თვალები და ვინმე ისე შეჭონდა არეული, ავ-  
ტობუსში მსხდომთ უზარალოდაც არ დავეკვირვებოვარ.

გოგიად მხარზე ხელი მომხვია და ტაქსების გაჩერე-  
ბისკენ წამიყვანა.

— ნამდილოდ მეტი მომივიდა.  
— რაზე ამბობ? — მართლა ვერ გავიგე.  
— ფული რომ მოგაწოდებ ქვეყნის დასახნად. რალა  
კარგი მეზობელი და რალა ჯიჯარი ნათესავი, სწორედ

ქალიშვილისა და ჰაბუჯის საქმეებს,  
რომლებიც კომუნისტის ახალგაზრდა  
მშენებელთა პირველ რიგებში მია-  
ბიჯებენ.<sup>21</sup>

დაბნ, ასე ლამაზად მიაბიჯებს კო-  
მკავშირელთა ახალი თაობა და მისი  
მძღვარი ნაბიჯები ჩვენი ქვეყნის ის-  
ტორიის ახალ ფურცლებს ავსებს.  
ხვალ კი, ჩემი რესპუბლიკის ნო-  
რანი პიონერი, შენ უნდა ვანავარძო  
80-იანი წლების კომკავშირელთა ეს-  
ტაფეტა და ვინდა უფრო მშობერ-  
ად, უფრო ლამაზად, უფრო გმირუ-  
ლად ვანავარძო იგი, რადგან „ის ურ-  
ჩენია მამულსა, რომ შვილი სჯობ-  
დეს მამას“<sup>22</sup>

ამან გამათამაშა და ამიტომაც ვეღარ მოვზომე, — ზიბე-  
ში ჩამიღო ფული.

ხმა არ ამოიღია — ტაქსის კარი გამოვადე, მადლო-  
ბის ნიშნად თავი ოდნავ დავეუქნე და შოვერის გუთხა-  
რა:

— სასაკლაოზე.

სასაკლაო ქალაქის ბოლოში იყო, მაღალი ვალეანის  
ჭონდა შემოვლებული. ტაქსიდან რომ გადმოვედი, პირ-  
დაპირ მომამყუდა სისხლისა და დამწვარი ძვლის ამაზრ-  
ხენი სუნი. ცხვირზე ხელი მოვიჭიკე და კიშკარს მივა-  
ღდე. ისე იყო დაკეტული, ღრიჭო არსად უჩანდა. გვერ-  
დით, პატარა თიანხში, სარკმელჩადგმული, პატარა კარი  
შეენიშნე და ახლა იმას მივსწავი, არც ის ვაიღო. მერე  
მთელი ძალით დავებრახუნე.

— რა ამბავია! — შიგნიდან იყვირა ვიღაცამ.

— ერთი წუთით გამოიხედეთ.

სარკმელი გაიღო და გაქუცული თავი გამოჩნდა:

— რა გინდა?

— ახლახან ძროხა მოიყვანეს აქა...  
სიტყვის დამთავრება არ მცალკა:

— ეგე, იქით წადი, — მარცხნივ გაიშვია ხელი, — ეგ  
გალავანი მოიკარგება თუ არა, ცოტა ქვემოთ მოწვრიე-  
ული სამანქანო კარია და იქიდან ჩანს მთელი ეზო... მო-  
რცა, მანქანით ხომ არ მოიყვანეს ზემო მზრიდან?

— უბაბო.

— წაბლა?

— ღიბა.

— იქ არის, — სარკმელი მიხურა.

საითაც მიმასწავლა, იქით წავედი. მიუვალვლადი მო-  
რღვეულ კიშკარს და მამაჩემიც იქ იყო და ჩვენს ვეტი-  
ქიში ნიკა ოდიკაძეც ფოთოლა არსად ჩანდა.

ჭიშკრის ჭრიალზე ჯერ ნიკა ძიამ მოაბრუნა თავი და  
აკი ჯერ მან დამინახა. მამაჩემმა მოუკიდებელი სივარე-  
ტი წერიფულად გადააგდო ხელსუკუნმა.

ახლა მიგვხდი, რატომ არ ჩანდა ფოთოლა — რკი-  
ნის პალაოზე დაგბათ თოკით და სატვირთო მანქანა ევა-  
რებოდა.

— აქ წამოყვანას ვერჩინებ, შინ დაგვკლათ, — უთ-  
ხრა ნიკა ძიამ მამაჩემს, — იმდენ ფულს დაპყრიდა, სა-  
ნაცვლოდ ჩააყენებოდა.

— შამაჩემმა, შავისი ხორცი არ დამანახებ აქაო. ხომ  
იცი, რაზედმც დრო და ძალღონე დავგინახარავს, გამო-  
ჩეულადც ის გვიყვარს.

ზურგიდან ნაბიჯის ხმა მომესმა. ტიმიც შევებრუნდი:  
დღღაჩემი მოიღოდა, ხელში ქაღალდი ეკერა. მოვიდა  
და ის ქაღალდი მამაჩემს მაიწოდა:

— თქვენი ხათრით, თორი დღეს დაკვლა არ გვაქვსო.

— ვიცი მავათი ხათრის ამბავი, — შწარღ ჩაიღიმა  
მამაჩემს და ქაღალდი ისევ დღღაჩემს დაუბრუნა, —  
სხვა გასაქანი არა გვაქვს და გემრიელადაც მოითბეს ხე-  
ლი... გაქირავების უბედურებაც იციან და საკუთარზე ბე-  
ჭლის ფასიც.

იღვა ფოთოლა და ხამუშ-ხამუშ თრთოდა, ფერღები  
ჩააცვეროდა უქმრობით; ისე ვუყურებდით, ვითომ ჩვენში  
კი არა, სხვისი ფური იყო.

— რატომ ვაყადინე ვაკეთილები? — მოულოდნე-  
ლად მკითხა ღედამ. ამ დღემტომ თოვის გასროლასავით  
გაისმა მისი ხმა.

— ამას რაღა კითხვა უნდა!

მამამ შემომიბღვირა:

— ბარემ პაპაც წაშოგვევანა.

ნიკა ძია ვფოთოლას მისტერებოდა ისევ.

— ასეა: რაღაც უტყობ სხეული აქვს ჩაყლაპული, რაც  
პირში მოხვდება ხოლმე ძროხას, ყველაფერს ყლაპავს



— უკან გამოვდებო არ იცის. ცოხნაც იმიტომ შეაჩერა.  
საინტერესოა, რა უნდა იყოს?

ჩვენს წინ, დაახლოებით ორი მეტრის დაშორებით,  
მილობილი ჩანდა. აქაც დაწვული მავთული შემოვევლით,  
ოღონდ ეს მავთული სქალი იყო, და თანაც მიჩხლარ-  
თულ-მოჩხლართული; რკინის ბოძებიც ახლომასლო ჩა-  
ესოსთ.

სასაკლაოს შენობიდან ვიღაც გოდორა კაცი გამოვი-  
და და ორი სხეულ გამოჰყვა.

მილობილის კარი გაიღო გოდორამ და ბოხი ხმით  
ბრძანა:

— შემოვადეთ!

ნიკა ძიამ აუშვა ფოთოლა, გვერდზე გადალა და ზურ-  
გზე გადაჰკრა თოკი. ფოთოლა რყევა-რყევით წავიდა  
ლოა კარისაკენ. კარში რომ შეყო თავი, ერთბაშად გაჩე-  
რდა და უკანაც ერთბაშად დაიწია. ნიკა ძიამ დროზე  
დამიძალა თოკი, მოქაჩა, მაგრამ ვერ გააჩერა გავშე-  
ბული ფური. თითქოს თხილამურებზე დგასო, ისე გას-  
რიალდა წუნწუნსა და ტალახში.

— შემოვადეთ! — ისევ ბრძანა გოდორამ და თე-  
რი, ჭუჭყით აჭრელებული ხალაით გაისწორა.

ის ორი უტყობ ბიჭი გამოქანდა. ნიკა ძიამ რქებში  
ჩაავლო ხელი, დანარჩენები მოაწვინე და თითქმის თრე-  
ვა-თრევათ შეიტანეს მილობილში.

ნიკა ძიამ თოკი შეხსნა და გარეთ გამოვიდა.  
გოდორამ სველი ურდულით ჩაეკტა კარი.  
ფოთოლა ერთხანს გაყუჩული იღვა, მერე მიწა და-



სუნა, ნელა ასწია თავი, უცებ აბღვალდა, გამოქანდა და რქებით დეკანა ღობეს. მას დეკანებმა იმდენად ძლიერი იყო, თითქოს ზედ შეეფეშნა, ადგილებზე დაიჩოქა. როგორც სცადა და ვერ მოახერხა, აწმოდგამა. მესამედ კი გაიმართა და უკვე მოჩინოვდა გაჩერდა.

ლობებზე მივიდეთ. დამინახა ფოთლოვანი და აზმუვლდა. ასეთი ნებიერი ზმულოვანი მისი იცოდა, პურის ხატები რომ მიგაწოდებდნენ ხოლმე. დავაგვიღო ათხათხებულ ფურსს და ცოდვის ქრუნებულზე დამიბრა — ცრემლები ჩამოსიდა, თან ისე ჩქარა-ჩქარა სუნთქვდა, ფერღებდა და ნესტობლი თითქოს უქანკლებდა. გოდორაც ცდილობდა, ის ორიც, მაგარი ვერაფერი შეაბრუნეს სასკალას ღია კარისაკენ. ამ კარისკენ ორმხრივი, ვიწრო რტინის ღობე მიუყვებოდა, ისეთი ვიწრო, რომ ბევრეც ეწვლა, უკან ვეღარ მობრუნდებოდა საქონელი. იმ ღობეში რომ შევიდოთ პირუტყვი, მერე ყველაფერი მოთავებულ იყო, როგორც ძია ნიკო მიიხარა, ესკალატორი — მოძრავი იატაკი — თვითონ შეიყვანდა შიგნით... რქებში ჩააღვს ხელი ფოთლოს, კუდილიც სცაღეს, მაგარი ძეგა ვერ უყვებს. იცადა, ზმულოვანი და ცრემლით მიხოვდა შეგვას. არასოდეს, არასოდეს მიფიქვია მის დაცემაზე, ვინაიდან ფოთლოვანი ჩემთვის რძე-მამონი, ხორცი კი არ იყო, არამედ ცოცხალი არსება, იმდენად გონიერი, უმისოდ ვერც კი წარმომედგინა ჩვენი ეზო...

გოდორამ მსხვილი სარი მოიქნია და ზურგზე გამეტებით დასცხო ფოთლოს. ამ მოულოდნელობამ ჩაგრის ცეცხლი წამოიბო: გავშრი, გავგვდი. მეორედაც რომ დაუნახავი, ისე შევხტი, თითქოს ნაკვერცხალზე დამედგას მოშველი ფეხი.

— მოგტყდეს ეგ დასამწიბებელი მარჯვენა! — დასწვევლა დედაჩემმა.  
მეორე დარტყმას მესამეც მოჰყვა, და ქვასაც დავეწვლიე:  
— გიჩვენებ, როგორ უნდა დარტყმა!  
მამაჩემი მაკაში მწვდა:  
— რას შერებ, ბიჭო?! გაგიფი?! ამიტომ არ მინდოდა შენი წამოყვანა! — ხელი მჭრა. — ამხელა კაცი ხარ და ჰქუთა ვაგოვლებია!  
— წამო, შვილო, — ხელი მომხვია დედამ და სამაწიანო კარისკენ შემაბრუნა.

4

იმ ღამეს ნიკა ძია მოვიდა ჩვენსა, ყანგანი ლურსმანის მოტახნა და მამაჩემს მიაწვია:

— ეგ ჩაუყოლებია. ბალახებში გადაადგმება ვინმე ობერი. მოლუნული ყოფილიყო, არაფერი უშავდა... მთელი შეგხეულობა დაჩაგრეტილი ჰქონდა.

იმ ღამეს კი გამაძახნდა ფოსტალიონის ნიჭქაში, მაგრამ მოსტამაიხი არ მიმიტყვევია ურადლებმა, ვიფიქრე, რაიმეღმე ჩვენი გავუფელი მესუფრება-მეთქი. მეორე დღის დროზე ადრე წვედი სკოლაში და მართალია, მზიარულების გუნდებზე არ ვიყავი, მაინც გავუბარე ფოსტალიონს. საქონილო წერილი ყოფილიყო, გავიგებდა, ვინ იმათუნდა და, ლაპარაკი არ უნდა, მთელ ჩაგვრს იმაზე ამოყარონ.

ადრევე დამინახა ფოსტალიონმა და, ვიღრე დავეძახებოდი, მანამდე გამოვიდა გზაზე — წერილი გამომიტანა.

— პაპაშენმა ვანომ გუშინ და გუშინწინაც მიიხარა, მოიტა, მე გადაცემო, მაგარი უფრო ვიკარე.

— მივცე, ანდეს არც შენ იწვალდები და არც მე.  
— კანონს, ვანო კი არა, სკოლის დირექტორიც ვერ დამარღვევინებს... ახა წაიკითხე, რა აწერია.

— საყუთარ ხელში.  
— პოდა, საყუთარ ხელსაც უჭირავს. მსწმინაქალაქი. მაშინვე გაგხსენი წერილი და კინაღამ ჩამოვსკქქქქქქ წერილს ჩაგვადვ, ხან ბებო ფოსტალიონს ვუყუბო.  
— ცუდი ხომ არაფერია, ბიჭო? — შეწუვდა ბები.  
— ცუდი რატომ უნდა იყოს? — მხარები ავიჩქე.  
ისე აფფორიატილი, ისე დამაძნია ამ მოულოდნელობამ, სკოლის გზაზე რომ აფუხვიე, მაშინდა გამაძახნდა — მადლობა არ მიქვამს ფოსტალიონისათვის, თითქოს ვალდებულ იყო, თუ დღემე ხუთჯერ მოსდგომოდა ჩემი ეზოს ქუჩას.

კიდევ ერთხელ წავიკითხე წერილი: «ვანო, სექტემბერიდან დედაჩემის სოფელში ცხოვრობ. სწავლითაც აქ ვსწავლობ, ძალიან, ძალიან მინდა, რომ გნახო. ცირა».

წავიკითხე და სკოლის ნაცვლად ვენახში წავივი — იქ მიგულებოდა მამაჩემი...

მამაჩემი დურგალია. დედაჩემს, როგორ გიხარათ, თბეს ემარჯვება, ბარც, ფიჩხის დაკუწვაც; ცომის მოზაღვლაც, პურის ჩაყვაც, ქათამ-ინდაურიც ხომ მისი მოხსეულ-შესანახია. დღე და ღამეც ასწორებენ და, არა უშავსო, რომ იტყვიან, იმაზე კარად ცხოვრობთ; პაპაჩემის თქმისა არ იყოს, წუთისოფლის სამდურავი მანდელმანც არ გვეთქმის.

სოფლის ბოლოს გვაქვს ვენახი და მალეც ჩავედი. ჩვენი «ჩიგულო» აყვავებული აღმის ქვეშ იდგა. მამაჩემი კიტრის ჩითილოს ჩასარგველ ორმოგებს იღებდა ბარით, თან აფხვიერებდა. ბარი მიწაში ჩატვია და ჩემკენ წამოვიდა.  
წიგნების ჩინთა მანქანის კაპოტზე დავდე, უკანა კარი გამოვადე და ჩავეკე.

— სკოლის გზა გვიჩრია? აქ რატომ მოხვედი? — დაინხარა და მომხარადა.  
— ჩაქვია და გეტყვი.  
გვერდით კი არ მომიჯდა, წინა სკამზე დაჯდა.  
— გისმენ? — თავი არ მოუბრუნებია უკან.  
— სად არის ცირა?! — ვუყვარე.  
— როდის აქეთ ისწავლე ყვირილი? — მშვიდად მიიხარა.  
— სად არის-მეთქი, გუებნები! — მუშტი მივიარტყე კარებზე.

— ხილოვანში, — მთელი ტანით მოტრიალდა. — იცი, რას გეტყვი: ბავშვობაშიც არ უყვირია ჩემთვის მამაჩემს, მე თუ მიყვარია შენთვის?

— მიზეზი არ მომიცია, თორემ...  
— ის ცოტა, სამტობი რომ ხარ სავსე?  
— სამშობლივით ერთი არ ვარ ამ ქვეყანაზე!  
— ჩემთვის ხარ ერთი.  
— ხეც მავას ჩივიე სწორედ!.. როდის ჩამოსახლდნენ მილოვანში?

მამაჩემმა სივარეტს მოუქცა და ნაფაზი დაარტყა და თავი სკამზე ჩამოძო.

— სასექტემბროდ ჩამოსახლებულან, მე ნოემბერში გავივი.

— მანამდე სად იყავი?  
— არ ჩავსულვარ თბილისში, — ისე მოაბრუნა თავი, თითქოს ეხარებო. — მგონი, მე უფრო მეტი სიყვარული მაქვს შელისა, ვიდრე შენ — ჭერაც უნახავი დისა...

— მაშინ, რა მიზეზით მიიხარია, ჩემთვის ერთი ხარო?

— სახალგარის მიზეზით... შენზე აღარ ითქმის, პატარაო, მაგარი არც ისეთი დიდ ხარ, ტოლიდენ გამოგო. ოჯახი მარტო ჰქერი, ცოლ-შვილი და ქონება არ გვეგონოს, სულ სხვაა და ამ სხვას ვერ ავიხსნის ვერავინ —



შენით უნდა მიხედო... პო, ცხოვრება მიგახედრებს, მანამდე კი აჯობებს, ხმა არ ამოვიღოთ ამ ამბავზე... სხვაც არა იყოს რა, ცირა ჩემი პირველი შვილია და პირველი სიყვარულითაც უნდა მიყვარდეს. სიყვარულს დრო სჭირდება, მე კი საამისო დრო თითქმის არ მქონია... რომ მეგავრებოდეს, კანონის ბრძანებას დავცერდებოდი და დედამშენის ანამალავად ერთ ამდენს კიდევ სხვას არ გავუტყავნიდი... როგორ ფიქრობ, მეხალისებოდა ოჯახის დანგრევა?

— არ ვიცი.  
— როცა არ იცი, უნდა გაჩუმდე! ვინ გაგაგებინა?  
— ცირას წერილი მივიღე.  
— აქა გაქვს?  
მანინვე მივაწოდე.  
წაიკითხა და ჩაფიქრდა.  
— ახლავი უნდა წავიდე და ვნახო, — მანქანის კარი გამოვალე.

— მოიცა, — ისევ წაიკითხა წერილი, — დედამშენს ნუ ეტყვი ჭკერებობით. საამისო დრო რომ დადგება, თავისთავად გაიგებს. დედამშენსაც ერიდე. დამიჭერე, ასე აჯობებს... კიდევ რაღაც უნდა მეთქვა... თუმცა არა ღირს, — წერილი ისევ უკან დამიბრუნა, მერე მოტორი ჩართო. — გადადი, ჩანთა აიღე.

მანქანა რომ შემაგვამდა, ჩანთა ჩამოცურდა კაბოტიდან და, თითქოს აფეთქებისა მემშინოდა, ნახტომით მივწვდი — მიწაზე დავარდნა არ ვაკალე.

— მამამ მანქანა მოატარიალა.  
— ბარს აქ ტოვებ?  
— აიკვან სოფელში და ისევ დავბრუნდები.  
— ბარემ ხლოვანში გადამიყვანე, შინამდე რა გზაა, ათორღე წუთის სავალია ფეხით.  
— ჩანთა მანქანაში დიტოვდე და წადი! — მოტორი გამორთო და, რომ გადმოვივიდა, გამეტებით მიაცხუნა კარი, კრინტი აღარ დამიძრავს. აჩქარებული დავადიქვი გზას. ვიცოდი, შაპას ცხვარი სამოვარზე ეყოლებოდა ვა-

რეკილი. არც დედა მეგულეობოდა შინ <sup>მეგულეობოდა</sup> იშვიათად შემოიბუტებს ხოლმე ლუმელთან და ასე ახლობს, ამხლა დღეს როგორ გააცდენდა უშრომადიდილი! მარნის კარი ღია დამხვდა, შევიხედე; ფეხვალსა სტრიდა დედაჩემი. საცერში ჩარჩენილი ქატი გოგონი მოაპირკვევა და პეშვით რომ ამოიღო ტომრიდან ფეკილი, მანშინდა მოიცალა საჩქემოდ:

— როდემდე იჯდები ჭირისუფლად?  
— რაზე მეუბნები მავას?  
— დღეს რაღოთ გააციინე გავეითლები?  
— მამაჩემს ჩავემეულ ვენახში, ახა, მარტო თვითონ ამოიღებდა ოცდაცხრამეტ საჩითილე ორმოს?  
კინალამ ფეკილით სავეს საცერი გაუვარდა ხელიდან.  
— რამდენიო?  
— ოცდაცხრამეტი.  
ისე მიიხედა-მოიხედა, თითქოს ვილაკის ან რალაკს ეძებსო.

— ექუშავი ლობიო საღლა დავთესოთო?  
— ეგ აღარ უთქვამს.  
— ნეტავ რა ოხრად უნდა ამდენი კიტრი, გაყიდვით ეგ არ გაყიდის, ჭამითაც ვერ მოვერევით და მწინლად ჩავდლოთ — მთელი ეს ამოდენა უბანი ვერ მოერევა. წუხელ თქვა, ათორღე ბუნდა გვეყოფაო. ერთი უნდა ვკიხო, როდის აქეთ ისწავლა სიტყვის ვადახვევა?! დაღიხარ მშერი, დაღასლასებ... მამა გიცხონდა, ჩვენს მეტს არაყის მოკეღობა ფური!... ბედი შენ უნდა დაიკვეხო — მიზეზი არ გეღევა არც წიგნთან დუმძრახებისა, არც გავეითლების გაცდენისა... წადი, ფიჩხი მაინც დაეუწე, ცომი რომ აფუცდებდა, მანშინ, ვინ იცის, საინგლოში იქ გასული თათრულის სასწავლებლად!  
წაქცეული საჩქევი წამოგაყენე და წალდს ფხა გავუსინჩე.

მთელი ათი დღე წვიმა, გაიყვინთა მიწა, დიტიბორა. გზები გადაირეცხა, საღდე არ მოველოლი, იქ



ამოყო თავი ლოდებმა. ეს ხუთი დღეა გამოიდარა, მზე როგორც კი ამობრიალდა, თეთრი ქაბუთა ორთქლი წამოიშალა მაშინვე. შორიდან რომ გახედვდი მოხელ მწიას, ეს ორთქლი ალუბლის ყვავილი გეგონებოდა.

გახაფხულის წვიმა რომ გადაიდგეს, უცნაური სურნელი ედებოდა მადამოს. ფიჭობი, ბეჭობი, გაიხსენო — რისი სურნელია, მაგრამ ვერასოდეს ვერ იხსენებ და მისი სიყვითლე ეს არის — გაუთავებელი იმედი და ნატვრა დაგყვება თან.

პირი შეიშრო მიწამ, ორთქლი მოიშორა და ხალხიკ სამუშაოდ გაიკრიფა. სოფელში მოხუცებსღა შეხვდები, ბალღებსა და მთვლენარე ძაღლებს. გადავა შუადღე, დამთავრდება გაკეთილები და მერე ახმაურდება სოფელი. ხმაური ბინდისას უფრო მატულობს, როცა მიწის სამუშაოდან ბრუნდება დაქანცული, აბუზღუნებული ხალხი...

ჩემი სოფლიდან ხლოვანამდე სამი კილომეტრია. შარავზა ვადაცვები, წაგრძობებული უბანი ავიარე და სოფლის თავში გავიდი, აქედან კარგად ჩანს ხილოვანის სამსართულიანი, თეთრად შეფეთილი სკოლა. არ გინდოდეს, მაინც გავივლებ გულში, შემადლობებულ განგებ აუშენებიათ: სახლებით დავიწროებულ გზაზე თუ არ მიღობარ და ან ეს სახლები არ გეფარება, ანდა მწვანედ ჩამოშვებული ხეხილისა და ეკალ-ბაღღების ღობე, სოფლის ყოველი კუთხიდან დაინახავ.

მივიდიდი და ფეხი უკან მჩრებოდა, დასთან პირველი შეხვედრის უხერხულობა მაფიქრებდა, არ ვიცოდი, რა უნდა მეტყვა, როგორ უნდა მოგვეკულოყავი. თითქოს დამნაშავედ ვგრანობდი თავს, თითქოს მე ვიყავი მიზეზი მისი ყველა იმ სადარღებლისა, რაც, ალბათ, არ აკლავა.

სავაფხულო-სანაყოფ ყვავილებს აებრაილებინა ორობე. ასკილისა და ლორთქო ბალახის სურნელი ერთნაერთი იყო არეული. მწვანედ ხასხასებდა ბალახი და ახლად გამოწეული ფითალი. წითლად ყვავდა ატამი, თეთრად — ბალი და ალუბალი, მსხალი და ვაშლი. თეთრად ყვავდა ღობე-ღობე გაწაღიკებული კვინჩხიცი. სახანესათესად იქცა კალოსტოლა მღელოებიც კი, სადაც გაბუტულებივით იდგნენ ხოლმე ბოლქვა-ბოლქვა აბოლებული კვინჩხები; ერთი მაშინ გეცემოდათ თვალში, როცა ყვავილს გამოიღებდა, მეორედ — როცა შავ ნაყოფში მომთაობტკობი წვენს ჩაიყენებდა...

გავიარე ქვეთა, გავაშუაღე ხილოვანი. თავქვე დავუხევი და სკოლის შენობაც ვაიდიდა თანდათან.

მეტყობა, გაკეთილი ახალი დაწყებული იყო: ხეებით, თალარითა და ყვავილიანი გაზონებით სავსე ეზოში კაცის ჭკანება არ ჩანდა, ღია ფანჯრებიდან კი მოსწავლეების კანტიკუნტი ხმაური ისმოდა.

ვივება თელის ქვეშ გრძელი, მწვანედშუღებული სკამი იდგა. ჩვეულებად მაქვს — ვიღერ სკამზე დავდებდი. ხელი უნდა გადავუსვია, ვითომ შარვლის გაჭუჭყიანებაზე უარესი ხელის გაჭუჭყიანება არ იყოს. გადავუსვი სკამს ხელი და მერე დავჯექი.

გაზონზე ძაღლმა გამოიარა, დამინახა, კული ამოიჩარა ლაჩებში და წააწყვავით გავარდა თალარისაკენ. თქმა არ უნდა, ვილაცაში შევეშალე.

საითაც ძაღლი გავარდა და თვალს მოეფარა, ისევ იქით ვიხედებოდი, ამიტომაც ვერ შევამჩნიე, სკოლის კიბე როდის ჩამოიარა პატარა ბიჭმა. ხელში ჩანთა ეჭირა და ილიმებოდა.

— აბა, მოდი აქ! — ხელი დავუქნიე.  
ლიმილი მოიშორა და უნდობლად, ზღაზნებით წამოვიდა ჩემკენ.  
— დაჯექი! — ხელი დავუტყაბუნე სკამზე.







დაცდა და მუხლებზე დაიღო ჩანთა.

— გამოვაახლებურეს?

კიო, და ისევ გაიღმა.

რომ გაიღმებდა მარჯვენა ლოყაზე ფოსო დააჩნდებოდა ხოლმე. საოკრად უხდებოდა ღიმილი. მელნით დალაქებულ კუბოკრული ხალათი ეცვა, ჩანთა ახალი ჩანდა, მაგრამ ნაადრევად მოელია არსებობის დღეები — კუთხეები გასკვეთილია უკვე და ათანხაირი წარწერით მთლად დაკარგვლია პირგანდელი ფერი.

— რომელ კლასში ხარ?

— მეხუთეში.

— გაქანებული ორსონი ჩანხარ.

— აღარც ორსონანი? თანაც მარტო ორი ოთხინი გამომეცა, ერთი რუსულში და ერთიც გერმანულში.

— და მაინც გამოვაგდეს ვაკეთილიდან? რატომ?

— ცხვირი დადაცემინე.

— ესა, გენაცვალე, დახველებსა არ იყოს, ბუნებრივი მოვლენაა და რატომ გამოვაგდებდნენ?

— მანამდე მასწავლებელმა დააცივინა.

— მერე?

— მერე ორჯერ კიდევ დააცივინა და, დაგვირებია, მეც ორჯერ არ დავაცივინე! მოკვდა კლასი სიცილით! განებე აყეთებო და, ჩანთიანად გამომაგდო. გეკოდინებდა, ჩანთა რატომაც გამომატანა, — ახლა უკვე ახი-თხილდა.

— შშობელი მოიყვანეო?

— ჰო, შენ ვის ელოდები?

— ჩემი და სწავლობს აქა.

— რომელი?

— არ გეცოდინება.

— დირექტორიდან დამლაგებლამდე ყველას ვიცნობ და რაღა მინდვამაინც შენი და არ მეცოდინება?

— სექტემბრიდან გადმოვიდა ამ სკოლაში.

— ცირა ლაფანაშვილი?

— ჰო, ისა.

— ამ სკოლაში გადმოსვლამდეც ვიცნობდი, ნუშო ბეზიასთან ჩამოდიდა არდადეგებზე, — ჩანთა მიწაზე დააგდო და ფეხი მაიღო. — აეს იმაით ეზოა, აეს კიდევ ჩვენი ეზო... გერმანულსა და რუსულში ცირა არ მამეცადინებს?

შეგბით ამოვისუნთქე — ამისთანა ბიჭი რომ გაიცნო, ბელი უნდა გაქონდეს.

— რა გეჭია?

— მამუჯა. ჩემს ჯგუფში ხუთი მამუჯა კიდევ სხვაა, გვართი მიკითხე ხოლმე, ბერიშვილი ვარ.

ამ დროს გამოსვლის ზარიც დაირკვა.

მამუჯე ჩანთა აიღო და თითქოს სკაშივე ვერ დაეტევაო, ხელებში მომაჩენა.

— გამომართვი, ახლავე გამოვიყვან, — შებრუნდა და გაიქცა.

— არ შეგეშალოს — ხომ იცი, რომელ კლასშია?

— რას შვეს შეება — მეცხრეშია!

ერთი წელი უფროსია ცირა. მამაჩემს არ უთქვამს, მაგრამ ვიცი, მეცხრეში უნდა ყოფილიყო.

მამუჯე კიბე აირბინა და მაშინვე უკან გამობრუნდა. წამოვდექე.

— რა იყო?

— მის ჯგუფელსა ვკითხე და დღეს არ მოსულაო.

— ახლა რა ვქნათ?

— ამას რაღა დიდი ფიქრი უნდა — შინ მივაკითხოთ. წამო.

— ახლავ რომ წახვიდე, იცოცხლე, შეგახუბრებენ თქვენები!

— მაინც არ ამცდება და ბარემ ადრე მოვეწმინდებოდა აჯობებს ვითომ?

ვიღერ სკოლის ეზოს მოსწავლეები აანბურებდნენ, ჩვენი უკვე საბუნო გზას მიუყვებოდით თავქვე.

დასთან შეხვედრის მოლოდინმა უფრო ამფორიაქა: ან ამ სახლში ცხოვრობს, ან ამ სახლში-მეთქი და ნაბიჯს ვაჩქარებდი, მაგრამ აღარ დაადგა საშველი, აღსრულვებელ ნატურასავით გაგრძელდა, გაიწვლა ჩემი გზაც და ფიქრიც.

გვერდით მომდევდა მამუჯა, არხიხინად მოიქნენვდა ჩანთას, თუმცა ფიქრი აწვალებდა მასაც — რაც სკოლის ეზოს გამოვცდით, ჩემი არ იყოს, ერთხელაც არ ამოუღოა ხმა.

წყაროსთან ვილაც ყავარჩინიანი კაცი წახრილიყო და ბეტონის ნავში იხედებოდა.

— დაგებლა? — ჰკითხა მამუჯამ.

კაცი წელში არ გამართულა, ეგრე დახრილმავე გამოიხედა:

— ვინ უნდა დამმალვოდა, თხილის ჰირო?

— ბაყაყია მანდა და იმაზე გითხარო.

წყაროს ჩრბოს ამოვუღე წყალი და მგონი მავის საათი ჩამვირდა.

— გგონია თუ ნაღდად ჩაგვივარდა?

— დანამდვილებით არ ვიცი. ისე, ადრე კი ავიკვირ-ძალინა სკოლიდან! ახლა არ თქვა, ვაკვიცილო!

— გამომაგდეს... ავე, ცირა მორბის ქვედან, შენს საათს არ მოარბენინებდეს, აღარც შენი კვერცხიპარია მყუფარი სკენიკა.

ცირას ხსენებაზე აღმური მომეღო. მაგრამ ის გოგო, ქვემოდან რომ მორბოდა, ექვსი წლისაც ძლივს იქნებოდა.

— ამისი შვილიშვილია, — მითხრა მამუჯემ და მოახლოებულ გიგოს დარწმუნებით უთხრა, — საძროხეში იპოვილი.

— არა, კიბეზე იღო, — ქლოშინითა თქვა და სამაჯურდაშეშრული საათი სიხარულით გაუწოდა პაპას.

— რაზე ფეხს დაადგამა ვინმე? — შეწუხდა მამუჯე.

— ჯართის ყველა დამამზადებელი ორგანიზაცია-დაწესებულება რომ შემოიარო, ვერ ამოქექავ მეორე ამისთანა საათს... გრინვიჩის დროით ამუშავებ, არა?

— ეგ მამაშენსა ჰკითხე, — გვიცინა ყავარჩინანს, — თავის ორსონებთან საათს ამ ჯართზე არ ასწორებს ხოლმე!.. ესა, ბერილინი რომ ყოყრედ ვუქციოთ გერმანელებს, მაშინდელია, აბა! ამას რაც დრო და ჯახირი აქვს გამოვლოლო, ნუ იტყვი, მუ თითქმის ვავცედი და ეს ისევე ისეთია, არც ძველი ხალისი აცლია, არც განი, მიღის და მიჩრკავს, — უცებ თვალმოწყურული მომაჩრდა. — შენა, შვილო, ცირას ძმა ხომ ხარ, ლაფანაშვილი ცირასი?

— დაახ, — რატომღაც შებრცხვა — მიწის დეაჩერედი.

— ლმერთო, შენი სახელის ჰირიმე, როგორა ჰგავს, კაცო?! მოიხედე, შვილო!

თავი ავეწიე, ძლივს მოგახერხე გაღიმება.

— შუბლი იმიტია, თვალებიც. ჰოო, მაგრამ, აი გვერდულად რომ იდის, მხრები მთლად ცირასი იყო. ვაპ, კაცო, როგორ გამახარე, კაცო! — ნების კედელზე ჩამოქდა, ყვარაჩენი ფეხებშუა ჩაიღო. — დაგრანხე თუ არა, მაშინვე შემიმცინა გუნამამა... ჰოო, ეხლა აღბათ ცირას სანახავდ მივლინები... უნდა ნახო, მამ! — დაძმობე ერთად ყოფნისა, მოფერებისა, ჰირ-ვარამის გაზი-



რებისა! რას იზამ, ცხოვრებამ მოიტანა ეგრე და რა თქვნი ბრალია? მეც იქვე ვცხოვრობ. შვილო, როცა გადმოხვალ, დამეხმარე ხოლმე... როგოა მამამენი?

— კარვად, არა უნავს.  
— რამდენი წელია, აღარ მინახავს. ნათესაობა შეეწყვიტეთ და ერთმანეთსაც გავუშვიცხოვდით. მოკითხვა გადღევი ჩემი, შოთა ბერუაშვილმა მოგეთიხა-თქო. რა გქვია, შვილო?

— ვანო.  
— აბა, შენ იცი, ვანო, ხშირად თუ გვინახულებ, ხშირადაც მოგვეტანები!..

ქვემოდას ატივული“ მოდიოდა. მოახლოვდა და ზედ ჩვენს გვერდით გაჩერდა. შოთა წამოდგა. ყავარჯენი აიღო, მამუქამ მანქანის უკანა კარი გამოაღო. შოთამ ჭერ ყავარჯენი ჩადო მანქანაში, მერე თვითონ ჩაჯდა, წვალეებით ჩაჯდა, ხელთ შეიტანა მარცხენა — ხის ფეხი.

— მეც წამოვალ რა, პაპა, — საწყალობლად შეეხეცა შვილოშვილო.

— მინ წადი! — მკვახელ უთხრა შოთამ.

— წამოვიდეს, რას ვიშლის, — თქვა შოფერმა და გოგოს წინა კარი გაუღო. — წამო, გენაცვალე, მაგას ვინა ჭითხავს, მანქანა ჩემია.

— ვინ არის ეგ მანქანის კაცი? — კითხვით მამუქას, თან თვალი გაუკაყოლ მანქანას.

— ცირას ბიძაა.

— როგორი ბიძა?

— დედის ძმა... არ იცოდინ?! — გაუკვირდა.

— როგორ არ ვიცოდი, მაგრამ ვეღარ ვიცანი, — ვიცრუე. — შორია კიდევ?

— მესამე სახლია მარჯვენა.

იმ მესამე სახლთან გაეჩერდით.

ორსართულიანი, მოძველებული სახლია, კრამიტი ახლარავს. ფანჯრები ოდესღაც ღურჯაღ ჰქონია შელებილი, მაგრამ საღებავი აცვენია და გაუფერულებულა. ეტყობა, დიდი ხანია, არავის გაუსწორებია კრამიტი — შუშაბანდის მხარეს, კუთხეში კრამიტები აეკლია და წყალსაც თავისუფლად უვლია კედელზე — კირი ჩამოურტყბხავს, ჭეა-აუკრივს საცაა გამოსტყვრება. წინიდან რომ შეეგბედე, უარესად დამეხურა გული — მთლად დაშარულიყო, დაბრეცილიყო შუშაბანდი, მინების ნაცვლად აქა-იქ მუყაო ჩავსებო. ახლახან ჩაეყუენებინათ რეისი ქიშკარი — ჭერ კიდევ თეთრად მოჩანდა მიწების გასა-

მაგრებლად ჩასხმული ცემენტი. წნული შექვეყნებული ბეც ახალი იყო.

— ცირას ბიძა აქ არ ცხოვრობს? — კითხვით მამუქას.

— არა, ჩასიძებელია და დედის სანახავად შემოკლის ხოლმე. ცოტა ქვემოთ არის მისი სახლ-კარი. აი, ეს კი ჩემია, — წინა, თეთრი თუნუქით დახურულ, ცემენტი გაღვსილ სახლს მიაშვირა თითი. — შეველ, ცირას დაუთხარებ.

— ქვეყანას კი ნუ შეყერი, ყურნი უთხარი, ვანო მოვიდა-თქო. დედაძისმა არ გაიგოს.

— დედა ნუნუ ახლა მინ არ იქნება. არც ნუნუ ბებია იამ გაიგოს?

— იქნებ არც ის არის შინ?

— სად წავა, მდებარე ავადმყოფია.

ესეც ახალი ამბავი!

— მოკლედ, ნურავის ნურაფერს ეტყვი.

მამუქამ გამოაღო ქიშკარი, ეზოში შევიდა და დაიძახა:

— ცირა!

— არავინ გამოპასუხებია.

— ცირა!

— რომელი ხარ, შვილო! — დედაცაცის ხმა მოიძმა.

...გულშია ბავაბუგი დამიწყო, დედაძისმა არ გამოიხედის-მეთქი. ცირას სახლს ათიოლე მეტრით ჩავცივდი და ვითომც ძალიან მაინტერესებდა, ბუსუსიანი ჭიბბივით ჩამოკიდებულ კაქვოს უყვივდი დედაცაცირი. უკან რომ მივიხედე, მამუქა ევვი გამოისულიყო გზაზე და ზენით იხედებოდა ხელმოჩრდილვით. საითაც ვეშვლებოდი, იქით მიეძვბა.

— რაო, მამუქა? — შორიდანვე დავგებუარე.

— ქალაქში წაუყვანია დედას.

— როდის წავიდნენო?

— გულშინაა. დღეს ჩამოვლენო. ცირას რომ ვნახავ, რა ვუთხრა? — მომაჩერდა.

— ამ დღეებში სკოლაში ვნახავს-თქო... აქ რალა გავაკეთო. წავალ ბარემ.

— შეზინდებისას რომ გადმოუსულიყავ?

— რ-და ძალაა? კარვად იყავი. ახლა უკვე ვიცნობთ ერთმანეთს და ამის შემდეგ, ალბათ, დაეძმავადებთ კიდევაც.

ხელის ჩამორთმევით დავემშვიდობით ერთმანეთს... შარავზაზე გავჩერდი, ცაცხვის ძირში, ავტობუსს დაველოდე. ზემოდან ჩამომვლულს ველოდი, ქვემიდან, თბილისიდან კი მოვიდა. ჩამომსვლელ მგზავრებს დავაკვირდი და გული გადამიჩანდა — ის გოგო დავინახე, გულში რომ შემხვდა ავტობუსში. თვითონაც დაინახა და დაიწინებთ მომაჩერდა. მისკენ უნებურად გადავდგი ნახბიცი, მაგრამ ვინ მაყალა: ვილაც ქალმა მკლავში მოკლი ხელი, წამოდიო. ალბათ დედა იყო, გოგო მორჩილად გაცევა. არა, მაინც როგორა ჰქვდად მაშობრავს?!  
ავტობუსის ლოდინი მომეზურდა, ხელი ჩავიჭინე და იმავე გზით დავბრუნდი უკან. დღეს რომ გამოვივარი, ფიქრმა ნახბიცი არ ამაჩქარებინა და დროც ისე გამეშვარა, ვერ გავივდე. სკოლის ეზო სასეე იყო მოსწავლეებით, ყურისწამებლად ხმაურობდნენ. სულ ცოტა ხანს გავჩერდი, სკოლის ეზოს უახროდ მოვატარე თვალი და გზა გუნვარტმე ისეც. მაშინ იყო, ჩემი სახელი გავივინე — ვილაც მეძახდა.



# კატანს კანონები წამოყენი პიონერები

## ინო პეალინი

მოსწავლეთა საერთო-სასკოლო კონტინგენტის კვალობაზე საკმაოდ მოზრდილი პიონერული ორგანიზაცია აქვს ლაგოდეხის ი. ჭავჭავაძის სახელობის 1-ელ საშუალო სკოლას. დაგვერწმუნებით, რომ 8 პიონერულ რაზმად შეკრულ 210 პიონერს ბევრი საკირო და საგულისხმო საქმის გაკეთება შეუძლია.

როგორც მოველოდით, სკოლის რაზმეული გამოცხადების პირველი დღეებიდანვე ჩაბმულა პიონერული შრომითი საქმეების ხუთწლედში. შრომითი საქმიანობის აღრიცხვა-კონტროლის ორგანიზაციაზე თავიდანვე რაზმეულის საბჭოს უზრუნვია და ყველაფერი გეგმა-ვალდებულებათა თუ შესრულებულ სამუშაოთა სახით ქალაქზე ჩამოუწიწიკებია. 1-ელ სკოლემა პიონერებმა გასული წლის „შავი საბადოს“ გეგმური 4 ტონის შეგროვებასაც და წლევანდელი გეგმის (5 ტონა) დიდი ნაწილის შესრულებასაც წარმატებით გაართვეს თავი. „თეთრი ფარის“ შესახებ რომ ვიკითხეთ, ეს დაიჩივლეს — სკოლის მოძველებულ შენობას ისედაც ვეწროობთ და შეგროვები მაკულატურისათვის კუთხე ვერ იქნა და ვეღარ მოინახაო. გამოირკვა, რომ თითოეული პიონერი თურმე სახლში აგროვებს ქალაქს და მერე თავის წილად აბარებს ადგილობრივ მიმღებ პუნქტს. ამ საქმეში რაზმეულს მოწინავენიც ჰყოლია, მაგალითად, დავით ფეიქიშვილი — ისე როგორ იქნება, მისმა შეგროვილმა მაკულატურამ სიმძიმით სხვისი არ გადასწონოს.



მათი განსვლილი ხანილი  
ხვალ კვირბებს ამოიარის.



აკულატურის  
შეგროვებაში  
კვლავ  
მე-6  
რაზმი  
მეწინავეობს.

მერე მე-ნ რაზმის პიონერების სიმარკვეცე გაიხსენეს — სწორედ იმათი, ვისაც ხათუნა ლობჯანიძე მეთაურობს.

მრავალდარგოვანია ლაგოდების რაიონის სოფლის მეურნეობა, აქ გაშენებული ბოსტნეული და ბაღიერი კულტურები ყურადღებასაც ღიძს ითხოვენ და თვალის მიღწევებასაც. ესმით 1-ლი სკოლის პიონერებს ყველა ის მტკიცეული საკითხი და პრობლემა, რომლის წინაშეც დროდადრო აღმოჩნდება ხოლმე რაიონი. ეს განსაკუთრებით მოსავლის აღება-დაბინავების დროს იგრძნობა, როცა, ვინდა თუ არ ვინდა, ჩნდება სოფლის მეურნეობისათვის ყველაზე საკირბოროტო — მუშახლის საკითხი. „ვაშლი“, „ბოთლი“, „უჭრძენი“, „თამბაქო“ — პირობითად ასე ერქვა რაიონის საკიროებიდან გამომდინარე იმ პიონერულ ოპერაციებს, რომლებშიც მართლაც რომ მოწადინებთ გაისარჩუნე ლაგოდების 1-ლი სკოლის პიონერ-მოსწავლეები. ამას დაუმატეთ „წიქარასათვის ნობათად“ დაშობებული 4 ტონა თევზ, ლაგოდების ახლოს, უღელტეხილზე „მწვანე აფთიაქისათვის“ მოკრეფილი 60 კგ ასილი, გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ მოწოდების პასუხად 26 დეკემბერს წარმატებით ჩატარებული რეიდი — „ყირათიანთა ლაშქრობა“ და სკოლის შემოგარენში პიონერთა მიერ გაშენებული პატარა ბაღი — ოპერაციაზე „მწვანე სამოსელი“ — სამშობლოს“ ხალისიანი გამოხმაურების ყველაზე უტყუარი საბუთი.

საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 60 წლისთავს დაუკავშირეს ნორჩებმა პიონერული და შრომითი ვალდებულებების მთელი კომპლექსი — გულდასმით შეისწავლონ მშობლიური რაიონის პიონერული ორგანიზაციის ისტორია, საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ასაკის სიმბოლური აღნიშვნისათვის სკოლის ბაღში დარგონ 60 მარადმწვანე ნერგო.

სწორედ რაიონის პიონერული მატეიანის შესწავლის

სურვილმა დააკავშირა პიონერები ტასიკო ბეგიაშვილთან. ვეტერანი პიონერი, პარტიის ლაგოდეტის რაიონული კომიტეტის ყოფილი მდივანი და უკვე მსხვილკუნთო ფილების გამგე... წლებმა გამოცდილების მეტი რა შესძინა ქალბატონ ტასიკოს და ისიც უშურველი სითბოთი უზიარებს მოზარდებს ამ სკოლას. ამგვარი მეგობრები სხვაც ბევრი ჰყავთ 1-ლი სკოლის პიონერებს — ნელ-ნელა ივსება რაიონის „მატიანის ფურცლები“ ლაგოდებში პირველი არაღვეალური ბოლშევიკური ორგანიზაციის დამაარსებლის გიორგი მირიანაშვილის, სოფელ შრომიდან ვეტერანის რიმა შუბითიძის, ომის ვეტერანის სუსანა შკლიარის, მკორემწეული მებრძოლის, ლაგოდების მკვიდრის არამ პოლოსოვისა და ძველ ბოლშევიკ გიორგი ბეგიაშვილის ოჯახებსა თუ რაიონის სამხედრო კომისარიატის საარქივო ფონდებში მოძიებულ ბიოგრაფიებში.

ხალისით ირგებიან პიონერები ამ დამსახურებულ ადამიანთა სასიკეთოდ. მიაა ქებაშეილი, ქეთირო აღიბეგაშვილი, ლილია ცინცაძე, ზურაბ რეხვიაშვილი, გონა ზვიადაური...

„მატიანის ფურცლების“ მიმდინარეობის პროცესში გამოჩენულ ამ აქტივისტ პიონერთა სხელებს დალი პიონერებლმძღვანელი და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ლომთაძე სიამოვნებით ასახელებენ.

სულ მალე ახალმოსახლეობა უნდა იზიემონ ლაგოდების 1-ლი სკოლის პიონერ-მოსწავლეებმა და პედაგოგებმა კოლექტივმა. მიწის უკვე ასიკლებია ეზოში კარგა ფართოდ დაწყებული სკოლის ახალი შენობის კედლები. მერე უფრო უკეთესი პირობები გვექნება პიონერული მუშაობისათვის, — ოცნებობენ დალი პიონერებლმძღვანელი და მისი პატარა მეგობრები.

ბედნიერი ყოფილიყოს თქვენი ოცნება, ლაგოდებელი პიონერებო!

ეს  
რონაოვარი  
„საპი  
საბადოს“  
ანგარიშება.

ფოტო  
თეიმურაზ  
მანბარელისა



**მარცხალი**

**შხია ჩხაჩიანი**

— რას დამჭიკტიკებ, მერცხალო,  
ჩემო გულთეთრა დობილო,  
რისი თქმა გინდა, ნეტავი,  
რა უნდა შემატყობინო?  
— მოვექროდი, როგორც  
შურდული,

აქეთკენ მომიხაროდა,  
მენატრებოდა ფლურტული  
ამ ლელეთა და წყაროთა.  
მელანდებოდა ნადურის  
ხმები შორეულ მთებიდან,  
ეს აივანი ქართული,  
შემკული ჩუქურთმებითა.  
ეს გაზაფხული ჭრელ-ჭრელა,  
მინდოდა შეხარებინა,  
მე მეჭიკტიკა, მემელრა,  
შენ ყვაეილებში გერბინა.  
— შენ რომ ჭიკტიკებ, მეც  
ვხარობ.

სახლსაც უხარის, ვენახსაც,  
მამ, იჭიკტიკე, მერცხალო,  
შენი ბარტყების ლხენასა!



**სამფოცლო**

**ნიმო ხაჩაზიშვილი**

მომწყურდი, ცნობა არა მაქვს  
ჩემიე გულის და თავისა,  
ხელგებს მწვავს ფოთლის სიმწვანე,  
გაბრწყინვალეა ნამისა.  
მზისგულზე დავისასათუმლებ,  
დვიცხტორება ქვეზედა,  
დამიძინება ხანდაზმულს,  
დალაულს მრუდე გებზედა,  
სიზმრადაც აქ ვიტრიალებ,  
შენს შუბლზე ფიქრად გავერთები,  
მკერდზე ავილოკ იარებს  
და გემონები სავსებით.



**მიტოვებული**

**სკოლის**

**ჩივილი**

**ქეთევან შიქაძე**

მიტოვებულ სოფლის სკოლას,  
დადუმებულ ზარებიანს,  
სევდიანს და თვალცრემლიანს,  
მაღახუბი ზმანებია;

ნიავეს ანდობს მწვავე ნატვრას,  
პატარებთან ბარათს ატანს:

— გაზაფხულდა,  
ჩახჩახა მზე  
კვლავ წამწამებს აფახულებს,  
ეფერება, კრძალვით სავსე,  
თქვენს პანია ნაფეხურებს.

გული ნადველს ველარ ფარავს,  
გამაგონეთ კვლავ ხმა ზარის.  
ეკალ-ბარდმა გადაფარა  
შუკა, ბაჩჩა,  
ყანა, ზვარი.

მხოლოდ სიზმრად მესმის ზარის  
ხმა საამო —  
ნაუ! ნაუ!  
გამიმთელეთ გულის ბზარი,  
გიგლა, თამარ,  
ეკა, ზაურ!

დამიბრუნდით!  
თქვენს ნარგავებს  
რარივ შვენის აკვირტება!  
სიო ხან თავს დასტრიალებს,  
ხანაც მწარედ ატირდება.

სევდიანად იყურება  
ყველა სახლი, ყველა ერდო.  
აქ სიცოცხლის ფრიამული  
ხანძარივით ენთო  
ერთ დროს.

მოდით, თორემ დაიქცევა  
ყველა სახლი,  
ყველა ბანი.  
დამიბრუნდით, დამიბრუნდით!  
გესმით? —  
მთებმაც მომცეს ბანი!

**პაუზა**

**ზინა სოლომონიძე**

ურლანს მოარღვევდა  
ვაჟა აღმართ-აღმართ,  
წყაროს დაენაფა.  
მიწას დაეკონა...  
ქარები გაოცდნენ,  
მინდვრები განცვიფრდნენ,  
ასეთი აღერსი  
ჯერ არ გაეგონათ,  
ქუჩები,  
ბუერები,  
დეკები,  
ღვივი  
მხრებზე წამოასხდნენ,  
რადგან მთა ეგონათ.



**ფხან  
მოთრია  
ძილი**

**ნელი ლასაპელიძე**

მზემ სხივებით ველ-მინდორი  
მორთო,  
გადაველო ხეთა ტოტებს,  
ფოთოლს.  
ნახა ნაკადული, რუ, წყარო და  
ლეღე.  
ზღვას, ტბასა და მდელს  
მოეფერა მერე.  
ჭადრის წვერო კონცა, კონცა  
ბუჩქის ძირიც,  
და საღამოს დადლილს მოერია  
ძილი.



იმ დღეების მოგონებისას ტანში ყოველთვის ერთნაირი მიგლის და თვალეში ცრემლი მწვევა ხოლმე... შორეული 1942 წლის ზამთარში დაიწყო ეს ამაღი. მაშინ შეეძქეს კლასში ვიყავი.

დღეებში ბოლოს „პიონერსკია პრადეში“ წავიციებდი წერილი, რომელშიც მოთხრობილი იყო პიონერ თამარა ფროლოვას ინიციატივის შესახებ — პიონერული დანაზოგით აგებულიყო სატანკო კოლონა „ნორჩი პიონერი“.

წერილის კითხვა დაემათავრე თუ არა, თვალს ჩემი ყულაბისკენ გაბრუნე.

ოპის დაწყების პირველი თვიდანვე ვაგროვებდი ფულს. ზოგი პირადი დანაზოგი იყო, ზოგიც — ჩემი შრომის საფასური. ქვეყანას უჭირდა, ჩვენ, მოსწავლეები, ამას კარგად ვნებავდით და სწავლასთან ერთად ნებაყოფლობით ვმუშაობდით გორის საკონსტრუქციო ქარხანაში (ნელელულის ეამუშავებდით), აგრეთვე ვარიანისა და ხილისთვის შეურნებებში (გკრფდით ხილს, ვაგროვებდით ჩაბნეულ თავთავს, გამზადებდით თევას). გამომუშავებული თანხის ნაწილს სკოლას ურიცხვადნენ (ვათბობისა და შეყეთების ხარჯებისათვის), ნაწილსაც ჩვენ ვგაძლევდნენ.

ჰოდა, აი, გადავწყვიტე, ჩემი დანაზოგი და შეგროვებული ფული ომში წავიყვანი გამარჯვებისათვის მოემზარა.

ჩანაფიქრი იმავე საღამოს გვიანდღე მშობლებს. მათ მიმოიწონეს და დახმარებაც აღმოთქვეს. მეორე დღეს კი საქ. ალკკ გორის რაიკომის პირველი მდივნის ი. რთველიაშვილის კაბინეტს კარი შევადე.

— აშხანავო მდივნო, გადაწყვიტე სატანკო კოლონა „ნორჩი პიონერი“ ასაგებად გადავრიცხო ჩემი შეგროვებული 1200 მანეთი, — მოვახსენე მდივანს. — ამის შესახებ მინდა პირადად მივეწერო იოსებ სტალინს.

მდივანი განცვივრდა.

— საიდან გაქვს ამდენი ფული? მე ავუხსენი.

— მერე, არ გენანება? — მკითხა და თვალეში ჩამხვდა. — ასეთი მძიმე დროა, ყველაფერი ძვირი და ძნელი საშენებელია...

— არ ენანება! — ვუბასუხე მტკიცედ. — ათ ამდენსაც გავგზავნიდი, რომ მქონდეს...

ჩემი ინიციატივით პარტიის რაიკომიც დანტერესდა და შეისწავლეს საკითხი. მერე იქვე, რაიკომში, შემომთავაზეს, დამეწერა წერილი ი. სტალინისადმი. დაეჯექი და დავწერე.

ეს ჩემი წერილი, რომელიც „პრადე-

# მე მე თქვენი ვიყავი



ლაილა კვანაშვილი. 1945 წ.

დის“ 1943 წლის 2 იანვრის ნომერში დაიბეჭდა, შემდეგ გადაბეჭდა საბჭოთა ვაშორის ყველა გაზეთში, მათ შორის — ფრონტულმა გაზეთებმაც.

სულ რამდენიმე დღეში მივიღე

ი. სტალინის პასუხი, რომელიც 7 იანვრის გამოაქვეყნდა „პრადეში“. იგი გვეწერდა ერთდროულად რამდენიმე მოსწავლეს. აი, ის ორიოდე წინადადებაც, რომელშიც მაშინ სიხარულის ფრთები შემეხას:

„გმაღლობთ, ნორჩი ამხანაგებო, წითელ არმიასე თქვენი ზრუნვისათვის.“

გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებას სწავლასა და საზოგადოებრივ მუშაობაში.

ი. სტალინი“

მაღე ჩემი მშობლიური სკოლის — გორის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორმა, კომკავშირულმა და პიონერულმა ორგანიზაციებმა მიიღეს ი. სტალინის მადლობა ღირსეული პიონერის აღზრდისათვის.

მერე ის იყო, მოზღვედა წერილები ჩემს სახლზე. მწერდნენ ქვეყნის ყოველი კუთხიდან, მწერდნენ დიდები და პატარები, მუშები და კომლუერნები, განსაკუთრებით ხშირად მომდიოდა წერილები ფრონტიდან. სულ 700-მდე ბარათი დამიგროვდა. ვინაა არ აწერდა ხელს — ი. მაისიბედაშვილი და ი. ბუნზოვი, მ. ოხოტინი და მ. აქბარლია, ბ. გოციოძე და ი. უღრანი, დ. ტალაბაძე, მ. ოსოვი და კიდევ ბევრი ოსხვა. განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის ბარათი, რომელსაც ლეიტენანტი მირზა გელოიანი აწერს ხელს — ჩვენი სასიქადლო, უფროდ დაღუპული პოეტი. მე დღესაც თვალისჩინივით ვუფრთხილდები ამ წერილს, რომელშიც აშკარად ჩანს ჰაბუკი პოეტის ფაქიზი სული, გამარჯვების მტკიცე რწმენა და ურყევი პატრიოტიზმი.

„ამ წერილს ფრონტიდან გწერთ, — წერდა პოეტი. — მე წავიციებთ თქვენი წერილი გაზეთში და ისე გამიხარდა, ისეთი სითბო ვიგრძენი... მანდ, საქართველოში, ფიქრობენ ჩვენზე — მეზობლებზე და გვეხმარებიან... მე ერთი მეგობარი მეყავს საქართველოში, თინა ჰქვია მას. ვიღებ მის წერილებს და ზარბად

# ლაღობი

ანანა გელაშვილი

მხატვარი  
თამარ ზსიანიძე

მ ო ტ ხ რ ო ბ ა



ესუნთქავ საკუთოვლოს მიწის სურ-  
ნელებას მის ალერსიან სიტყვეებში...  
არ არის უფრო დიდი ბედნიერება,  
ვიდრე შეგარძნება იმისა, რომ იბრძ-  
ვი სამშობლოსათვის და შეგნება,  
რომ სამშობლოში ახსოვხარ, ზრუ-  
ნავენ შენზე... მე ბედნიერი ვარ, ჩე-  
მო უცნობო პატარა მეგობარო, რად-  
განაც თქვენი ბედნიერებისათვის  
ვიბრძვი აქ, რუსეთის ცივ ველებ-  
ში...“

ყველაფერმა ამან ძალა გამიასეც-  
ვა. ჩემი მეგობრები აღდროფა-  
ნებული იყვნენ, მშობლები და მს-  
წავლებლები მხარს უჭერდნენ ჩვენს  
ყოველ ახალ ინიციატივას. ვესმარე-  
ბოდით ფრონტელთა ოჯახებს ყვე-  
ლაფრით, რითაც შეგველო — შე-  
შით, ტანსაცმლით, კვების პროდუქ-  
ტებით. ახლანდელი პედაგოგიური  
ინსტიტუტის შენობაში ჰოსპიტალი  
იყო მოთავსებული; ჩვენ სისტემა-  
ტურად დავდიოდით დაკრილებთან,  
მივგვეონდა მათთვის ფანქრები, რვე-  
ლიები, წიგნები (ჩვენთვისაც რომ  
ძლივს გვეოფინდა), წინდები, ხილი,  
ჩურჩხელები, ვმართავდით კონცერ-  
ტებს. ფრონტზეც ბევრ ამანათს  
ვგზავნიდით. ამანათის გაგზავნის  
უფლებამხოლოდ წარჩინებულ მოს-  
წავლეს ჰქონდა და ჩვენც ერთმანეთს  
ვეკიბრებოდით ბევით სწავლასა და  
საზოგადოებრივ საქმიანობაში...

მეტი ის იყო, გავიმარჯვეთ. მახ-  
სოვს, ამაყად თავაყეული დავდიოდი  
გორის ქუჩებში, რადგან მწამდა, რომ  
გამარჯვების დღის მთავრობაში  
ჩემს დანაზოვსაც ედო მცირეოდენი  
წვლილი. დღემდე მომყვება ის სიხა-  
რული და სიამაყე და დღესაც მჭე-  
რა, რომ არაფერს არ შეუძლია იმაზე  
დიდი კმაყოფილების მონიჭება, რა-  
საც პირნათლად მონხილი ვალის  
შეგნება მოგანიჭებს.

ლეილა კიძინაძე,  
სახალხო კონტროლის გორის  
კომიტეტის თავმჯდომარე.

სანდრო სკოლიდან დამმარებელი  
ბრუნდებოდა. საამისო მოზუნი საკ-  
მარისი ჰქონდა. ჯერ ერთი, ბიჭე-  
ბთან ბლარბუნში ხალათის სახე-  
ლად შემოვბედებდა, მერე ამას მათემატი-  
კაში მიღებული „სამინიცი“ დაერთო  
და... წინდაწინვე იცოდა, რა სიტ-  
ყვები უნდა მოესმინა ცალკე დღე-  
ისგან და ცალკე მამისგან. ყველაზე  
მეტად სწორედ ეს მოსალოდნელი  
ჩიჩინი უფუჭებდა გუნებას. დედა,  
როგორც კი ხალათს დაინახავდა,  
მოჰყვებოდა: — რა უნდა გელაშ-  
აკო, როცა ამხელა ბიჭს არაფერი  
გეცნის, მე და მამაშენი წულეებზე  
ფეხს ვიდგამთ, რომ შენ ჩავაკვით  
და დაგაბუროთ, გასვით და გაუპოთ,  
შენ კი აბა, რა გაგიოცებს, ნაჭრის  
ხალათი კი არა, ჯაჭვის პერანგი რომ  
გეცეპს, ალბათ მის გახვევასაც მოა-  
ხერხებდით... ამასობაში მამაც მო-  
ვიდოდა და ახლა ის დაიწყებდა: —  
ასეთი უტერინო ბავშვის მნახველი  
არა ვარო; თუ სწავლა არ გინდა,  
თქვი და ახლავე გამოგვიყვანე სკო-  
ლიდანო, ან შენ რაღა წვალობ, ან  
ჩვენ რაღად გვაწვალეობ, ავე, კა-  
ცოლო, მეუზოვეები და მენაგვეები  
სანთითი საქმენელი გახდნენ და სი-  
ხარულით მიგოდებენო...

ის იყო, სანდრომ ქუჩა გაღმოჭრა  
და თავისი სახლისკენ შემოუხვია,  
რომ გზა მისმა ტოლმა ბიჭმა გადა-  
ულობა, უბიდან პატარა ცხოველი  
ამოაძვრინა და სანდროს ნაღვლიან-  
ად უთხრა:

— აბა, შენ მაინც წაიყვანე!  
— ფუჰ, რად მინდა შენი ვირთ-  
ხა?! — განზე გაიწია სანდრომ და  
გაცოლა დააბიროს.  
— შენც ვირთხა გგონია?! ეს ვი-  
რთხაა? არა, ანობატრია. შეგნე! ნა-

ხე, რა ლამაზია! — ბიჭი ნახალ უს-  
ვამად ცხოველს ხელს თავსა და ზუ-  
რგზე.

— შენ თვითონ რატომ არ იტო-  
ვებ, თუ ეგეთი ლამაზი და მშვენი-  
ერია?! — ნიშნის მოგებით ჰკითხა  
სანდრომ ბიჭს.

— ჩემები არ მანებებენ, აითვალ-  
წუნეს; დედა დამემუქრა, წაიყვან  
და მტკვარში მოვისვრი ხილიდანაო,  
ანდა შეთავავე ჰქალს დარიშხანს გა-  
მოვართმევ და მოგწამლავო. ბიჭებს  
ვის არ ვაძლივ, მაგარმ არაფერს ინ-  
დობა; გოგონები კიდევ, ხომ იცი მა-  
გათი ამბავი, გვეშინიაო, არც კი  
მეკატრებიან, წიოკობენ და გარბიან.

— საიდან გყავს?  
— ძიამ ჩამომიყვანა ექსპედიცია-  
რიდან, წყლის პირას ებოვნა.  
— მომე! — სანდრომ ბიჭს ცხო-  
ველი ჩამოართვა. ონდატრას ფაფუ-  
კი, ყავისფერი მზონიავი ბეჭვი  
ჰქონდა.

— რა ჰქვია? — ჰკითხა სანდრომ  
ბიჭს.

— ონილი!  
— კარგი, წაიყვან, იქნებ არც  
ჩემებმა გამაჩერებინონ შენ, მაგარმ  
რამეს მოვდივქვით.

ბიჭმა ნახალ აქოცა მოზუზულ  
ცხოველს და უქანმოუხედავად გაი-  
ქტა. სანდრო მიხვდა, რომ ბიჭს ატი-  
რების შეეშინდა და იმტომე გაიქტა;  
ონდის დახედა და მოეჩინა, რომ  
იმასაც ცრემლები ეღვა თვალებში.  
შეეცოდა. მაგარმ ბიჭი უფრო შეე-  
ცოდა, იმტომაც გამოართვა, თორ-  
მე განა არ იცოდა, რომ დედა უმ-  
ალ ორივეს გარეთ გამოორეკავდა,



ვიდრე ამ ვირთხის მსგავს მორღნელს სახლში გააჩერებდა, ძაღლის ლეკვი არ მოაყვანინა და ამას გააჩერებინებს?!

სანდროს ხელში მომყუდროვებულ ონდის ჩაეძინა. სანდრომ დახვდა მას და უცბად იგრძნო, რომ იმ ბიჭსავით გაუჭირდებოდა მასთან განშორება. მილიოდა სანდრო და ფიქრობდა, რა მოემოქმენდა, რომ ღელა ონდის დატოვებაზე დაეთანხმებინა, მაგრამ ვერაფერი მოეფიქრებინა და ახლა იმის წინასწარ გამოცნობასდა ცდილობდა, ყველაზე ადრე რის გამო დაატყუებოდა რისხვა — დახეული ხალათისთვის, სამიანისათვის თუ ონდისათვის.

კარი ხახვისაგან აცრემლებულმა ღელამ გაულო.

— აბა, რა ამბები იყო სკოლაში?! — გამოსძახა სამზარეულოში შებრუნებულმა.

— არაფერი, — უპასუხა სანდრომ.

— ჰო, რა თქმა უნდა, შენ რომ კაცმა ყური გიგდოს, სკოლაში საერთოდ არაფერი ხდება. ტანსაცმელი გამოიცვალე, ხელ-პირი დაიბანე და ამასობაში სადილიც მზად იქნება.

მაგრამ სანდრომ ვერც ტანზე გამოიცვალა და ვერც ხელ-პირი დაიბანა, რადგან ონდის ჭერ ისევ ეძინა. ამიტომ ფრთხილად ჩამოჯდა სკამზე.

— რა ქენი, სანდრო, მოღიზარ თუ არა? — კვლავ გამოსძახა ღელამ და, პასუხი რომ ვერ მიიღო, დერეფანში გამოვიდა.

— ეს რაღა უბედურებაა?! რა მოვითრევია, ბიჭო?! ხალხი ვირთხებს გარეთ ერეკება და შენ სახლში მოიყვანე?! — შეიცხადა ღელამ.

შეშინებული ონდი ერთი კი შეტბა ძილში, გამოიღვიძა და სანდროს ხელეფში აწრიალდა, ცდილობდა სადმე მყუდრო ადგილში შეერგო ცხვირ-პირი.

— არა, ეს ბავშვი გამაგივებს! მაინც არა მოგაფიქრებინა, ვამაგებინე! ახლავე აქედან მოაშორე, ახლავე! — ღელამ კარი გამოაღო და სანდროს გასასვლელისაკენ უბიძგა.

სასოწარკვეთილმა ბიჭმა ძლივსდა მოახერხა ხმის ამოღება.

— ღელა, ეს ვირთხა კი არა, ონდებრია. აბა, სადაური ვირთხაა, შეხედე, რა ლამაზია! — სიტყვისიტყვით გაიმეორა სანდრომ ონდის პირველი პატრონის ნათქვამი.

— რაო?! — უცბად ჩაცხრა ღელა. — შემოდი, შემოდი. მაჩვენე ერთი ეგ შენი ონდებრია! — ღელამ ონდის ქეჩოში ჩაავლო ხელი და თავიკენ შემოაბრუნა.

— მგონი, მართალი უნდა იყო, ვირთხას მართლაც არ ჰკავს, ყოველ შემთხვევაში — ფერით, მაგრამ ონდებრიაა თუ არა, ჭერ კიდევ დასადგენია. წაიყვანე ახლა და სადმე მოათავსე, სულ ეგრე ხომ არ გეყოლება ხელში.

სანდრომ თავისი სათამაშოების ყუთი დაცალა, გვერდებზე მოზრდილი ნახვრეტები გაუკვია და ონდი შიგ ჩასვა, მერე ყუთი საბაზანოში შეიტანა და კუთხეში მიდგა.

— ხალათი სადღა დაიხიე?! — მოულოდნელად ლმოზიერად ჰკითხა ღელამ.

სანდრომ ეს ლმოზიერება ონდის დამსახურებად ჩათვალა და უშიშრად უთხრა, ბიჭებთან ბლლარბუნშიო.

ვიდრე სანდრო სადილობდა, ღელა ტელეფონს მიუჯდა.

— ალო, ქეთი, გეთყავი, შენა ხარ?.. ჩვენც არა გვიშავს, ვეწვეთი ქაბანს... რას მეუბნები? რა ფერი-საა, ნაცრისფერი? ალბათ ძალიან ლამაზია, მერე შენ როგორც უნდა მოგიხდეს! ამ დღეებში აუცილებ-

ლად მოვიბრუნე სანახავედ ვეწვეთი შენს ბოლოვ ქვეყანაში ვეწვეთი იცის, ონდებრია როგორ გამოიყურება. ეგ შეც ვიცი, ცოცხალი ონდებრია-თქო, ცოცხალი... ჰო, მემსის, აბა, ძალიან კარგი გმადლობ, გენადავალე, ღიდი მადლობა! ისე, დამჯირდა რაღაცისთვის, სხვა დროს გეტყვი, ნახვამდის!

სანდრო რომ საბაზანოში შევიდა, ღელას ხელში ონდი ჰყავდა აყვანილი და საგულდაგულოდ ათავსებდა.

— მგონი, მართლაც ონდებრიაა ეს შენი მხეცი, ოღონდ, რაღაც პატარა მეჩვენება, ოცდათხუთმეტი სანტიმეტრი უნდა იყოს, ეს კი რაღაც მოკლე ჩანს. თუმცა, ალბათ, ასაკითაც პატარაა. აბა, შენ იცი, როგორც მოუვლი!





დედამ ისე უმტკივნეულოდ დარბოთ ონდის დატოვების ნება, რომ სანდროს ბოლომდე ვერ დაეჭვებინა მისი გარდაქმნა. მერე, როცა მამაც მოვიდა, დედამ რაღაცენაირად ისიც მოაქცია, ისე რომ, მათემართის „სამიანის“ გამო სანდრომ მხოლოდ მოკლე და მშვიდი საყვედური მიიღო. ბევრი იფიქრა ბიჭმა და ბოლის გადაწყვიტა, ჩემი აღზრდის მორიგ მეთოდს თუ სცდიან მშობლებით.

გაკვეთილები რომ მოამთავრა, მეზობელ საღარბაზოში გაიქცა — დათასთან, ის იყო ცხოველების ავანჩაგანი. დათამ, ვარდა იმისა, რომ დაწვროლებით ჩააწერინა, რა უნდა ეკმია ონდატრასათვის, როგორი ბინა უნდა მოეწყო მისთვის, რამდენიმე დასურათებელი წიგნიც გამოატანა მღრღნელების შესახებ. ამ წიგნებიდან სანდრომ შეიტყო, რომ ონდატრა მღრღნელთა ოჯახის ერთერთი წარმომადგენელია, რომ იგი დაახლოებით 35 სანტიმეტრი სიგრძის იზრდება, ხოლო მისი წონა 1,5 კილოგრამს აღწევს. ახლა სანდრომ ისიც იცოდა, რომ ონდისთვის აუცილებელი იყო დროდადრო წყალში ყოფნა, რადგან იგი, როგორც ყველა მისი თანამომე, კაობებისა და წყალსატევების ნაპირებზე ცხოვრებას იყო დაჩვეული. იმავე საღამოს შეადგინა სანდრომ ონდის ღდის რეჟიმი, რომლის ბუნებრივ, სკოლაში სიარულისა და გაკვეთილების გამოკლებით, თითქმის მთლიანად ემთხვეოდა თავად სანდროს ღდის რეჟიმისა: ადგომა, აბაზანის მიღება, საუზმე, ჩოგბურთი — ორივესთვის, მერე სანდროსთვის სკოლა, ონდისთვის კი თავისუფალი დრო, საღლი ორივესთვის, ონდისთვის აბაზანა, სანდროსთვის გაკვეთილების მოწმადება, ონდისთვის თავისუფალი დრო, სეირნობა ორივესთვის, გაბაში ორივესთვის, აბაზანა ონდისთვის და ძლი ორივესთვის. ონდის რეჟიმის ბჯითი შემსრულებელი გამოდგა. დილაობით, როგორც კი სანდროს აშდგარს დაინახავდა, უშალ თვითონაც ზეზე წამოგზავნდებოდა და მოთმინებით ელოდებოდა თავის რიგს აბაზანაში, ხოლო როცა სან-

დრო აბაზანას წყლით აავსებდა და შიგ ჩასვამდა, საიამოვნებით დატურავდა, კიდეც ყვინთავდა, ყურყურ-მალობდა და მერე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიანაც უნდოდა ენებოვრა, მორჩილად ამოჰყვებოდა ხოლმე სანდროს გაწვდილ ხელებს. ფრუტუნით იბერტყავდა ტანს და საიამოვნებით ამშრალუბნივდა თავს. თუმცა მისი ფაფუკი, მზხინავი ბეწვი ოდნავ თუ სველდებოდა; მერე მაღიანად სლაპავდა ჯამში ჩასხმულ რძეს; ამასობაში სანდროც მორჩებოდა საუზმეს, ონდის სპორტულ ჩანთაში ჩასვამდა, მხოლოდ თავს ამოაყოფინებდა და ერთად მიდიოდნენ ჩოგბურთზე. არასდროს, — არც ეზოში და არც კორტებზე, — ონდის თავისი მეგობარი არ გაუჭვავებია. ბუნებით მოძრავი და მოუქცევარი მორჩილად იჯდა ჩანთაში და მოთმინებით ელოდა, როდის მორჩებოდა სანდრო ვარჯიშს. შუადღიდან მოყოლებული კი, როცა სანდრო სკოლაში წავიდოდა, ონდი მარტო რჩებოდა მთელ სახლში. იწრიაკუნებდა, იწრიაკუნებდა, ყველა კუთხე-კუთხულში შეყოფდა ცხვირს, ყველაფერს კბილით გასიჩვავდა, მერე კი იძინებდა. სანდროს მოსკდის დრო რომ მოახლოვდებოდა, გამოიღვიძებდა და კარის წინ ცმუკვით უტდიდა თავის მეგობარს. როგორც კი სანდრო სახლში შემოაბიჭებდა, ეცემოდა უკანა იათებზე შეშდარი და მუხლებზე ალერსით უტაცუებდა ცხვირ-პირს. სანდროც მუდამ სიყვარულით მიუვებდა სამაგეროს — რაც უნდა ცულ გუნებაზე ყოფილიყო, ონდის არასდროს აგრძნობნივდა ამას, სითბოსა და ალერსს არ ალღებდა. ახლა ვეღარც კი წარმოედგინა, როგორ არსებობდა უმისოდ მანამდე.

თითქმის დედაც გულწრფელად შეეჩვია ონდის, სანდროს მის მოვლაში ეხმარებოდა, ბაზრიდან მოტანილ ნუგზარ ხილს ადრე თუ მხოლოდ სანდროსთვის იმეტებდა, ახლა ორად ანაწილებდა; კიდეც ბანდა ონდის, კიდეც ეფერებოდა, მაგვრამ რატომღაც ყველაზე ხშირად სიგრძეს უზომავდა...



ამასობაში ზამთარმაც მოაწია. სანდროს არადეგები დაეწყო და როგორც ყოველთვის ნახალწლევს, სოფელში გაამგზავრეს ღიდესათან. ბევრი ეხვეწა დედას, ონდისაც თან წავიყვანო, მაგრამ დედამ დაარწმუნა, რომ ონდისთვის დარჩენა ჯობდა, და ისიც გულარხინად გაპყვა სოფელში მიმავალ ძია რატის. თუმცა ონდი ვერ მიმხდარიყო, რატომ ემშვიდებოდა ასე ღიდესანს მისი მეგობარი, მაინც საგულდაგუ-

ლოდ აულოკა მის ჭერ ხელები და მერე ლოყები. — აბა, ონდი, არ მოიწყინო, — უკვე ზღურბლიდან დაუბრავს სანდრომ და კარი გაიხურა.

ბევრი ისიამოვნა სანდრომ სოფელში, მაგრამ რატომღაც გული სულ ქალაქისაკენ მოუწყევდა. ეხვეწა დინდა, დარჩი, დარჩიო, მაგრამ არა აღწა, აღარ დეუცადა ჩიო რატის ამოსვლას დათქმულ დროზე და მეზობლიანთ მართა ძალოს გამოჰყვა. როგორც კი დედამ კარი გაუღო, მაშინვე ონდი მოიკითხა. დედას ვითომც არ გაეგონოს სანდროს კითხვა, აქეთ დაუწყო სოფლის ამბების გამოკითხვა. ონდი არსადა ჩანდა — არც საბაზანოში, არც ტახტქვეშ, არც კარადასა და საფარქელს შორის კუთხეში. სანდრომ ცუდი რამ იგუშინა:

— დედა, სად არის ბოლოს და ბოლოს ონდი?

— დაიკარგა! — მშვიდად მიუგო დედამ.

— სად დაიკარგა, როგორ დაიკარგა?!

— ჩვეულებრივად. სტუმრებს რომ ვეიცილებდით, ღია კარში ვაშა და...

— გარეთ გასვლა რომ არ იცოდა?!

— სანდროს ცრემლები წასკდა.

— გაათავე მაგაზე ლაპარაკი! დაიკარგა და მორჩა.

— რატომ არ ეძებთ, რატომ არ მოიკითხებ? — საბოლოოდ ამოუჭდა ბიჭს გული.

დედამ ავად მოკუმმა ტუჩები



და სოფლიდან ჩამოტანილი ჩანთა-ბოხჩების დაკლა-დაბინავებას შეუდგა.

სანდრომ იმ დღეს მთელი საღამო ბაზო დაიარა. მეზობლებს გამოჰკიოდა, სარდაფიც საგულდაგულად დაათვალიერა, მაგრამ ონდის კვალს ვერსად მიაგნო. არც ეზოს გავობიჭებმა იცოდნენ რამე, რა აღარ იფიქრა სანდრომ — იქნებ, ქუჩაში გავიდა და მანქანამ გასრისაო, ან იქნებ, ვინმე გამველეშა მოიპარა, ან ეგებ, სულაც იმ ბიჭმა წაიყვანა, თავისმა პირველმა პატრონმაო. ორი დღის განმავლობაში ყველა ახლო-მახლო ეზო მოირბინა, მაგრამ იქ ონდის არსებობის შესახებაც კი არაფერი იცოდნენ. დანაფლვიანდა სანდრო. ყველაფრის ხალისი დაეკარგა.

მშობლები ხან ფერებით, ხან მუქარით ეცადნენ შვილის გულსტიკვილის გაქარებვას, მაგრამ ვერაფერმა გაჭრა.

ერთ საღამოს დედა ტელეფონს მიუღო და სახვალიოდ სტუმრების დაპატივებას შეუდგა. ბიოლოგი ქმრის პატრონ ქეთისაც დაურეკა.

— ქეთო, ხვალ სანდროს დაბადების დღეა. შეიდი საათისათვის გეტყვით ორივეს, — შენ და პატრონ ირაკლის. ჩემს ახალ პალტოსაც განახებ.

მეორე დღეს სკოლიდან დაბრუნებული სანდრო თავის ოთახში შეიკეტა და დედა იძულებული გახდა სტუმრებისთვის ეთქვა, ცოტა შეუძლიად არის და დღე დაეწვინეო. ძალიან ისიამოვნეს სტუმრებმა, იმღერეს, იცეკვეს, ერთმანეთი აქეს და წავიდ-წამოვიდნენ.

მაჟური რომ ჩაწყნარდა, სანდრო თავისი ოთახიდან გამოვიდა. დერეფანში სარკის წინ ახალ პალტოში გამოწყობილი დედა ედგა, ქეთო კი შურნარევი აღფრთოვანებით უსკვამდა ხელს პალტოს ბეწვის საყელოს.

ბეწვი მუქი ყავისფერი, ფაფქი და მშხინავი იყო.

— მშვენიერი ბეწვი! მშვენიერი! პირდაპირ ზღაპრულად გავიღობა ბედმა! იცი, რა ღირს ერთი ასეთი საყელო? შენ კი, გენაცვალე, ალბათ სულ ორიოდე კილო ზოსტენული დაიჭვად!

სანდროს გულმა რეჩხი უყო.

— ჰო, ერთხელ ჩემთვისაც ხომ უნდა გავიღობა ბედს! ზუსტად 35 სანტიმეტრი გამოვიდა.

სანდროს ფერი წაუვიდა.

— კი მაგრამ, როგორ მოვალით?!

— სულ ადვილად, დენით. ასეთ პატარა მღრღნელებს, — დედამ ნახად გადაუსვა ხელი ბეწვს, — ძალზე სუსტი დენიც ყოფნით. ჰოდა, გურამმა წაშში გაათრთობინა სულიო...

სულშეგუბებული სანდრო კარებს ეცა და გარეთ გავარდა.

სახტად დარჩენილმა დედამ სადარბაზოში გასძახა, პასუხი რომ ვერ მიიღო, რამდენიმე საფეხური ჩაირბინა და ძირს ჩაიხვედა, მაგრამ კბიეზე არავინ ჩანდა.

— გურამ, სანდრო ჩაუცმელი გავარდა სადღაც...

ღვინომორებული მამა უცებ მოეგო გონს, სანდროს პალტოს დაიტაცა ხელი და მის საძებნელად გაიქცა. ლამის გათენებამდე ეძებდა სანდროს, მეზობლებიც შეაწრაილეს, მილიცთაშიც დარეკეს, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნეს. მეორე საღამოს კი სარდაფში შემთხვევით ჩასულმა მეზობელმა კუთხეში მიკუნტული და გათოშლილი სანდრო აღმოაჩინა. თითქმის ორ თვეს გაუგრძელდა სანდროს ფილტვების ანთება. დედა მთელი ეს ხანი წუთითაც არ მოსცილებია, მამაც თავს ეველებოდა.

სულ სხვანაირი გახდა გამოჯანსაღებული სანდრო — გულჩათხრობილი და უნდა.



ნინო კორაძის დანახვა თარხანი № 3

**მპირზასო რამაქციაში**

ჩვენი ზრით, ი. ყ-ს საქციელი სამართლიანი და მოსაწონია და მას სანანებელი არაფერი ჰქონდა იმის გამო, რომ ამხანაგებს მხარი არ აუბა და „შატალიზე“ არ წვიდა.

მასწავლებლის წინაშეც სწორი იყო მისი საქციელი. ჩვენ რომ მის ადგილზე ვყოფილიყავით, ისეთსავე გადაწყვეტილებას მივიღებდით.

**ციური ჩაზინიძე, ირმა გვალსიანი,**  
ზესტაფონის რაიონის შრომის ხმ, სკოლა, VI კლასი.

**რამაქციისაბაზ**

„პიონერის“ მკითხველბს, უძვივლია, კარგად ახსოვთ ჩვენი თურნალის გახული წლის მეთუ ნომერში დაბეჭდილი წერილი, რომელსაც გორის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლე ი. ყ. აწერდა ზელს. მასში მოთხრობილი იყო ერთი „შატალიზე“ ამბავი. რედაქციის უფრადებმა მიიქცია არა იმდენად „შატალიზე“ ფაქტმა, არამედ იმ უფრობამ, რომელიც, ავტორის თქმით, გამოჩინა მწიფადდელასკელთა უმრავლესობამ: მათ გაკვეთილი გაუცდინეს ტრავირებულ მასწავლებელს, რაც, რა თქმა უნდა, არაშეძენური საქციელია. ვარდა ამისა, დავკვირებრება ი. ყ-ს პიროვნებამ: რაკ თვითონ კლასში დარჩა და ამხანაგებს არ გაჰყვა, სცადა თუ არა მან „შატალიზე“ ჩაშლა, თუ ვაჩუქ ვადაც და მზა არ ამოუღია? სხვანარად რომ დავსვთ კითხვა, დვას თუ არა ი. ყ. აქტორე ცხოვრებისეული პოლიტიკა? და ბოლოს, ვახარკვეთ იგუერთი საქითხი: საერთოდ, სწორად თუ მოიქცა ი. ყ, როცა მარტო დარჩა გაკვეთილზე?

ამ წერილის თითხვა რედაქციის მიოვიდა უამრავი გამოხმურება. მათში რიცხვმა 400-ს ვადაპურხა და წერილებს ნაკვირვარად არ შესვტებუღმა. ჩვენმა ავტორებმა (დელსუხაში მოხარულიობდნენ არა მარტო პიონერები, არამედ უფროსებებაც, ერთმანეთსაგან სრულიად განსხვავებული პროფესიის ადამიანებმა) ყოველმხ-

**გული ბავშუსარბო**

ძილის დამაფიქრა ი. ყ-ს წერილმა. მისი საქციელი მომეწონა, თანაკლასელებსამ კი გული მატკინა.

ჩვენი კლასის ხელმძღვანელსაც გარდაცეცაა მამა, ჩვენც გვიცდებოდა ვაკვეითლები. ბოლო დღეს მინც მოვიდა მასწავლებელი სკოლაში, კლასში დავალება ყველას ჰქონდა შესრულებული, ვაკვეითოც ყველამ ბრწყინვალედ იცოდა. ამით ჩვენ მასწავლებელს მწუხარება შევუმსუბუქეთ, გული ვავუხარეთ.

**ნინო ბალაშვილი,**  
ევარდის რაიონის სანავროს რეაწლიანი სკოლა, VII კლასი.

**გოლოს შვიგნებანე**

ჩვენი ზრით, ი. ყ. სწორედ მოიქცა, როდესაც თავის ამხანაგებს „შატალიზე“ არ ვაჰყვა. ამით მან დავსა და პატივი სცა მასწავლებელს.

ი. ყ-ს მეგობრები დამაწვევენი არიან, მეგრამ ჩვენ ვეგვრა, რომ ისინი ბოლოს მიხვდებიან თავიანთ შეცდომას, შეიგნებენ, თუ რა დიდი დანაშაული ჩაიდინეს სკოლის, მასწავლებლის, ამხანაგის და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის წინაშე.

**მამა ჩაზინიძე,**  
ზაშურის რაიონის რეაწლიანი სკოლის რაზმულის საბჭოს თავმჯდომარე, შირაკ იმერლიში.  
№ 1 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე

**როგორ მომიტყოლოც**

ვაიძულებთ ამხანაგებს, რომ შესულიყვნენ მასწავლებლის მდგომარეობაში, ვაიძულებთ, რომ დარჩენილიყვნენ ვაკვეითლზე და ამის შემდეგ ჩემი საკუთარი სინდისის, მასწავლებლისა და ამხანაგების წინაშეც მართალი ვიქნებოდი.

**ლელა სინარულიძე,**  
ფოთის მე-5 საშუალო სკოლა, VII კლასი.

რაც ვაანალიზებს წერილის უველა პუნქტი, ზოგი ამტკუნება ი. ყ-ს, ზოგიც ამართლებდა მას, ერთ საქითხში კი უველა ერთხელოვანი გამოდგა: კლასის საქციელი მასწავლებლის მიმართ არააშეძენური, სასტიკიც კი იყო.

რასაკვერკველია, უველა წერილის დამბეჭდა თურნალის ფურცლებზე არც მოხერხდებოდა და სტიქოც არ იყო, რადგან მათი უმრავლესობა ძალიან ჰგავს ერთმანეთს: პიონერებმა ძირითადად სწორად ვაგაგეს ი. ყ-ს მიერ წამოჭრილა პრობლემები. ვარდა დაბეჭდილი ავტორებმა, საინტერესო წერილები გამოგზავნეს გარეელმა ლ. ბერიკაშვილმა, სიღნაღელმა მ. ზატაშვილმა, იორიჩიქიძელმა ლ. გრიგალაშვილმა, გულრიფშელმა მათეთაშაბუბელმა, ზუღდიდელმა ბ. აქუბარაძელმა, ლენტეხელმა მ. ლობარტელიანმა, თბილისელმა მ. ბეგლაროვამ, ქუთაისელმა მ. კეიშვილმა, იმნელმა მ. და რ. რეზიაშვილდებმა, ვაღიელმა მ. ხითარაშვილმა, მესტიელმა მ. კვანციანმა, ასინდელმა ი. ფოცხვარაშვილმა, დანჩხუთელმა ვ. ჩხაიძემ, ბათუმელმა მ. ჩარკვიანმა, გვიგეკორელმა მ. მაცანიამ და შრავალმა სხვამ. როგორც ზედავთ, დისუხსიაში საქარვეთის თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ჩვენი რედაქციის თანამშრომელი ეწევა გორის მე-3 საშუალო სკოლას. იგი დავსწრო ი. ყ-ს კლასის საერთო კრებას და სკოლის პიონერული რაზმულის საბჭოს

სსდომას. გამოიკვია, რომ ი. ყ-ს წერილი განუხილავთ თითქმის ყველა რაზმი, აზროთა სხვადასხვაობის აქც უნდათ თავი, თუმცა მოსწავლეებმა რომ მასწავლებლებს უმარტოვებდნენ ატკინეს გული, ამას ყოველ პიონერი ერთხმად აპირებდა. ხალად, აზრთანად, მომზარა ფაქტის მინიშნობის სრული შეგნებით მსკელობდნენ ი. ყ-ს თანაკლასელები: მანმა ელიზბარაშვილი, ზურაბ გიკაშვილი, დიმიტრი სტეფანოვილი, ქეთევან ანაბაგოვი, გელა დანაჩივი, ვიგორე კულუაშვილი, ვა. ელიკაშვილი, ირმა უფიანი, რაზმულის საბჭოს წევრები: მარიკა უანჩველი, ნინო შერმანი, ზურაბ მარსაგოვილი, ვერვიკო სომხიშვილი, კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე მარიკა კობერიძე და სხვები.

გამორკვა ერთი საინტერესო და დამაფიქრებელი ფაქტი: მთუხვადავთ იმისა, რომ ი. ყ-ს წერილი დანერგილა სწორი პოლიტიკით, იგი არ ეტყობა სწორად კლასებდ გოკონას. ი. ყ-ს კლასში: ნაწილად ავტორს, როგორც ჩანს, ვამზებოდა არ ევოდა სხვის ინიცილებს ამოუფარა, რაც ნიშნავს, რომ მისთვის უცხო ხილი არა მარტო აქტიური ცხოვრებისეული პოლიტიკა, არამედ ეთიკური ნორმებიც ეს კი ვავტორებებდა, რომ, მიუხედავად მთელ რიგი წარამბებლისა, ამ სკოლის პიონერული რაზმულები ვერ კიდევ ბევრი რამ არის აცუცებულებო, პირველ რიგში, სწორედ ზნობრივი აღზრდის საქმეში.

დაქ. სან. ა. მარტოსი  
სან. სან. რაიონი

# სეზონი საბავშვო

## 3. რიზინი

მე-7-ა კლასში სრულიად უბრალოდ ჩვეულებრივად გამოაცხადეს, რომ 18-ში, გაკვეთილების შემდეგ, მოეწყობა საერთო სასკოლო შაბათობა ჭართის შეგროვებაში.

პარასკე, დიდ შესვენებაზე, საკლასო ოთახში პიონერბლომდღეანელი — მებათეკლასელი ვალიდა სინიჩკინი შემოვიდა და მშვიდი, საქმიანი კილოთი გამოაცხადა:

— ხელ სასკოლო შაბათობაა. დასაწყისი — 15 საათზე. ტანსაცემლი — საბუზო. ჭართი უნდა შეეგროვოთ. გასაგებია?

— გასაგებია! — ერთხმად ამოიხრა კლასმა, რომელსაც სასაბათოში ეჩქარებოდა.

— კიდევ ერთი რამ! — სინიჩკინმა მრავალმნიშვნელოვნად ასწია ხელი — სიჩუმე მოითხოვა: — შაბათობა ეძღვნება სკოლის 20 წლისთვის იუბილეს.

— ჩვენი სკოლა 20 წლისაა? ბიჭოს!

— გამარჯვებული კლასი დაჯილდოვდება, — განაცხადა სინიჩკინმა. როცა ხმაური შეწყდა, ხელმძღვანელმა დაამთავრა:

— გამარჯვებული კლასი დაჯილდოვდება კუნძულის გამოქვაბულის უფასო ტურისტული საბუზოთ. გაგიგონიათ ასეთი გამოქვაბული?

ბავშვები ერთბაშად გაირიზნენ. ყველა გაოცებული იყო. მაგრამ ეს რამდენიმე წამს გაგრძელდა, შემდეგ კი კლასი აჩოქოლდა. აღზნებული ბავშვები ერთხმად ალაპარაკდნენ ურალის პატარა ჭლაქ კუნძურზე, რომელიც ცნობილი იყო თავისი უნიკალური გამოქვაბულით, მისი ტიბებზე, თევზაობაზე... კუნძურის გამოქვაბული მეზობელ ოლქში მდებარეობდა, ზოგიერთ უფროსკლა-

სელს ნანახიც ჰქონდა უკვე. მაგრამ მეშვიდეკლასელთა შორის ასეთი საგზური პირველად თამაშდებოდა.

— მე ვიცი, როგორ უნდა მოხვდე იქ! — ყველაზე ხმაილდა ყვიროდა მიშა ვესლოვი. — ჩემი ძმა იყო შარშან...

მიშას მაშინვე გააქმენდინეს ხმა. — იმ, რა მარაღია ჭრ საგზური მიიღე და მერე მარშრუტზე ილაპარაკე!

იმდღევანელმა ყველა საქმემ ბოლო ადგილზე გადაინაცვლა. გოგონებებს მხოლოდ მომავალი შაბათობა და საგზური უტრიალებდათ თავში.

ყველაზე მეტად ალიოშა იაგოდკინი ღეღავდა.

ეს რა გამოდის! ნუთუ არ შეიძლება, სინიჩკინს ერთი კვირით ადრე გავეფრთხილებინეთ? განცხადებაც სამასწავლებლისთან გაუქრავთ! ვითომ ყოველდღე იქ მტრიალებდით...

ალიოშა ყველაზე იღბლიანი იყო შაბათობებზე, ყოველთვის ყველაზე მეტ ჭართს აგროვებდა ხოლმე. გამობრძმებული გახლდათ ასეთ საქმეებში. წინასწარ რამე მძიმე რკინის მოქმედება, სიმეფრადე ადგილას შეინახავდა, შაბათობაზე კი... ანდა მოველაპარაკებოდა სარემონტო სახელოსნოს სამწუთო ნაწილის ვაშვებს ან გარაჟის უფროსს. შაბათობის დღეს კი მოაგროვებდა ურიკას და დაცვირთავდა, რამდენიც შეეძლო. თუ ვერ მოერგოდა, თავის მეგობარ იგორ სკობცოვს წამოიყვანდა: წყვილად რეკონდენსაც კი ამყარებდნენ. ამ საცად ტაქტიკას არასოდეს უშტყენია იაგოდკინისათვის. მაგრამ ეს ჩვეულებრივ შაბათობებზე ხდებოდა. ხვალინდელი კი — სულ სხვა საქმეა: ჭრ ერთი, სკოლის იუბილეს

ედგენება და მეორეც — გილოცეს სახარბილო! არ კარგი იქნებოდა რაზმთან ერთად ურალის გამოქვაბულში რება, განთქმული გამოქვაბულის დათვალიერება!

ალიოშას თავისი საყვარელი კომპოტის აღებაც კი დაავიწყდა სასაბათოში, იმდენად გაიტაცა ოცნებამ.

— ტურისტული მოგზაურობა... კუნძური... ტბა... კოკონი ტყეში... თევზაობა, სოკოები... პირდაპირ სულ შეგეხუთება...

მოსალოდნელი მოგზაურობის ბრწყინვალე სურათებს აღმფოთებაც კვლიდა:

— მავარია ეს სინიჩკინი! რით ვერ მოისხრა, წინასწარ გავეფრთხილებინეთ? ყველაფერი ხომ ადრევე იცოდა! ახლა როგორ ვაგობებთ სხვა კლასებს, როცა დრო აღარ ითმენს?

გუნებაწამხდარმა იაგოდკინმა ძლივს გასძლია გაკვეთილის ბოლომდე. სკოლის კარებთან სკობცოვი ელოდებოდა.

— შინ მიდიხარ?  
— ჰო.  
— რა ექნათ?  
— შაბათობაზე მეუბნები?  
— აბა რაზე?

ალიოშმა იმაზე ფიქრობდა, თუ სად ეშვება ჭართი, საცოდავი დაყანგული ვედრო ან საწოლი კი არა, არამედ რაიმე მძიმე, სოლიდური, ვიქვათ, 100-200 კილოგრამიანი. აი, მაშინ ნამდვილად შეიძლება ბრძოლა პირველი ადგილისათვის!

იგორი კომპოტზე ფიქრობდა, სკერდა, რომ აუცილებლად გამოინახავდა გამოსავალს. კარგი იქნებოდა, ხვალინდელ შაბათობაზე იაგოდკინს იგი მიეწყვილედ წაყვანა.

— იქნებ გარაჟში შეგველო? — გაუბედვარე უსთავაზო სკობცოვმა.  
— იქ ყველაფერი მოსუფთავებულია.

— აბა ძველი ტავებისა და ტაშტების შეგროვებას ხომ არ დავიწყებთ კარდაკარ?  
— რას იზამ, მოგვიწყვებს!  
— მოდი, ლერწმინაში ჩავიაროთ.  
— შავ მდინარესთან?



— ჰო, ოღონდ ჭერ სახლში შევიბრინოთ, ჩანთები დავტოვოთ.

— შორს რომ არი!..  
— არა უშავს, კოლომეტრანხევი-რია სულ.

— ჭერ კიდევ ტლაზი იქნება იქ...  
— ჩექმებს ჩაეიცვამთ. მალე დავბრუნდებით.

ბიჭებმა რამდენიმე წუთით სახლებში შეიბრინეს, თითო ნაპერ პურს ხელი დასტაცეს და აჩქარებით მიაშურეს სოფლის ბოლოს, სადაც მშვიდად მიეკლანებოდა ვიწრო მდინარე ჩორნაია. მდინარეს ნაპირ-ნაპირ გზატკეცილი გასდევდა... ასფალტი ჭერ კიდევ შარშან დაავეს, მაგრამ მოძრაობა ჭერ არ იყო ვახსნილი. გზის მშენებლებმა სხვაგან გადაინაცვლეს, სილითა და ხრეშით დატვირთული მანქანები ახლა ჩრდილოეთისაკენ მიდიოდნენ ხოლმე. იავგოლინმა იცოდა, რომ საგზაო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ბევრი საჭირო თუ უვარგისი ნივთი რჩებოდა, იქნებ საბარგული, ტრაქ-

ტორის მუხლებო ან რაიმე მძიმე რკინა ვიპოვოთო, — ფიქრობდა.

გახაზხულის მცხუნვარე მზემ და ჩქარმა სიარულმა დასიცხა ბავშვები, სახე აელეწათ, გაოფლიანდნენ. ერთ სული ჰქონდათ, ტანთ გაეხადნენ და მდინარეში გადაშვებულ იყვნენ. იგორს ძალიან უნდოდა ბანაობა, მაგრამ ალიოშამ შეაჩერა:

— რა დღოს ბანაობაა, ამის გულისთვის მოვედით აქ ამ სიცხეში?

ლერწმის რაყა ფართოდ გაშლილიყო მდინარის ნაპირებზე. წყალთან ლერწამი უკვე გამხმარიყო, გზასთან კი მწვანედ ბიბინებდა ნორჩი ამონაყარი. სწორედ ამ მწვანე ზოლს გაჰყვნენ ბიჭები. გზაზე ხან კონსერვის ქილა, ხან კასრის რგოლი, ხან ევლოზიბედის თვალი ხვდებოდათ, მაგრამ ეს ყველაფერი ზღვაში წვეთი იყო. ერთ საათზე მეტი ასე ამო-ოდ იარეს. სკობკოვი უკვე ნანობდა, რომ წამოვიდა; ყოფილიყო სახლში, საინტერესო წიგნი წაეკითხა ან ბურთი ეთამაშა, არ ჯობდა?!

იქითაქეთ აღარ იყურებოდა და ალიოშას ზურგს მიმტერებდა. კი ვერ გრძნობდა, რომ შინაშესაძრქქქქქ ნების დროა.

უცებ ლერწამი გამეჩხერდა და ბავშვები პატარა ხევში აღმოჩნდნენ. სამივე მხრიდან ხეეს გარს ერტყა მქილო ლერწმის ფარდა, რომლის იქით მოჩანდა და მზეზე ლოგოივებდა ჩორნაია, მეოთხე მხრიდან კი გზატკეცილისკენ დაქანებული ფერ-ლომი იყო. წყლის პირას საგზაო სატკეპნი იდგა, ნამდვილი საგზაო სატკეპნი, ურომლისოდაც ვერც ერთ ქუჩას და საავტომობილო გზას ასფალტით ვერ დაფარავ. ბიჭები თვალს არ უჯერებდნენ.

პირველად გონს სკობკოვი მოვიდა.

— აი, ბედიც ამას ჰქვია! — იყვირა და ამ უცნაურ მანქანას მივიარდა. ფეხქვეშ შარშანდელი ბალახის სველი და სქელი ნობი აჰყაბუნდა, ნათევურები მღვრიე წყლით ავისო.

— საით? ვერა ხედავ, ჩექმებს როგორ ითრევეს? — ალიოშამ ლერწმის ღეროები გადმოლუნა და ფეხქვეშ დაიფინა. იგორი კი ძირს არც იყურებოდა, წინა ბორბალზე აფოფნდა და ძრავის სახურავს მუშტი დაჰკრა.

— ბუმში! — დაიგუფუნა სახურავ-მა.

— დახე, რამდენი რკინაა — ათი ტონა მაინც იქნება! — აღტაცებულ-ლი ამბობდა სკობკოვი.

— ექვსია! — შეუსწორა ალიოშამ.

— რა იცი?


— აგერ წერია: „წონა — 6 ტ.“

— ოხ, პირდაპირ ნაღმივით პოულ-ლობ ჯართს: მესანგრე რომ იყო, ნალსამებინდ არ დაგვირდებოდა.

— ეს რომ ჯართი არ არის!

— აბა რა არის — სწორედ რომ ნამდვილი ჯართია. ვის სჭირდება ახლა ეს სატკეპნი: საჭირო რომ ყოფილიყო, აქ არ ეგდებოდა. დაქანგულა კიდევ...

მუშა მანქანას სატკეპნი მართლაც არ ჰგავდა. პულტის დაფა მოეხსნათ, არც სკამი იყო, ძრავასაც ბევრი რამ აყლდა, წითელ-ყვითელი





ლაკები უხვად მიმოფანტულიყო ბორბლებზე.

— როგორ ფიქრობ, შეიძლება ხვალ ამის ჩაბარება? — ალიოშამ ეპვის თვალთ დახედა ქანგის ლაქებს.

— აბა რა ყველას გაუფსურებთ. აქ ხომ ექვსი ტონაა! ხო-ხო, რა საჩუქარს მივარამივით სკოლას საიუბილეო! — სკობცოვი აშკარად გამოცოცხლდა, გაქრა წელანდელი დალილობა და უკიბლოდა, თვალები უბრწყინავდა, ხმაძალდა და თავდაჭერებით ლაპარაკობდა.

— ზამთარში როგორ ვერ შევამჩნიეთ?

— ეს ხომ დაბლობია — თვლით ირავება. თხილამურებითაც აქეთ არავინ დაისი. ვინ სულელი წამოვა სტეპში, როცა ტყე იქვეა.

— სკოლაში როგორღა წავიდოთ? — უბრალოდ. მამას ვთხოვოთ — ტრაქტორით ამოათრეცხს.

მეორე დღეს დაიწყო თუ არა შაბათობა, იავოლინმა და სკობცოვმა ტყის საწყობს მიაშურეს, სადაც ტრაქტორზე გრიგორი ფედოროვიჩი სკობცოვი მუშაობდა.

უფროსმა სკობცოვმა ყურადღებით მოუსმინა ბავშვებს და ჩაეციანა:

— მანქანა ფერდობთან ხომ არ ნახეთ?

— ჰო, იქაა.

— ჰოდა, გზის მუშებმა შარშან დატოვეს ევა.

— როგორ თუ დატოვეს?

— ისე, დატოვეს, ვიდრე წყალი დაშრებოდა. იქ ხომ დაბლობია, წვიმების შემდეგ წყალი გროვდება და ჰაობი წარმოიშობა. მუშებმა ეს ვერ გაითვალისწინეს. და დარჩა მანქანა. არ გახსოვთ, როგორი წვიმები იყო?

ალიოშასა და იგორის ენთუზიაზმი უკვალოდ გაქრა. ისე იყვნენ განაწყენებული, რომ ხმას ვერ იღებდნენ, ერთმანეთს შერგას არიდებდნენ. როგორი იმედ ჰქონდათ ამ სატექნიკოსს, რომელიც თურმე სულაც არ დაკარგულა... ექვსი ტონა! შესანიშნავი ლითონის 6 ტონა! მთელი სკოლა ვერ შეაგროვებდა ამდენს...

— დეტალები რატომღა აქვს მომძვარი? — სირუმი დაარღვია იავოლინმა, იმედის ნაბერწყალი იგრძნობდა მის ხმაში.

— რა დეტალები?

— ბერკეტები, დასაჯდომი და კიდევ ზოგი სხვა რამ...

— აა, ევენი ალბათ მძღოლმა თუ მოხსნა, ბავშვებმა არ დაამტერიონ ამ არ წაიღონო...

ისევ სირუმი ჩამოღდა. შემდეგ ალიოშას ხმა გაისმა:

— იქნებ მინც გამოვათრიოთ? — იყანგება და ფუჭდება...

— ვერ მივუახლოვებით... ჰაობია.

— ბაგირი ჩავაბათ, — იავოლინს თვალები უბრწყინავდა, მას უყვარდა ძალიან მოუხნა ნაბოვნი სატექნიკის ამოთრევა.

— ძალიან გრძელი ბაგირია საჭირო, — გრიგორი ფედოროვიჩის მშვიდმა, სპიანმა კოლოდ ალიოშას იმედები გაუქარწყლა.

— დავაგრძელოთ! — წამოროშა იავოლინმა და თვითონვე შეეშინა და ნათქვამისა.

გრიგორი ფედოროვიჩმა როგორღაც უქნაურად შეხედა ბიჭს, შემდეგ ჩაფიქრდა და უცებ მხიათულად გაიციანა.

— რა ნათელი გონება გაქვს, ალექსეი! თვითონ როგორ ვერ მოვიფიქრე ესა? წავაბათ ბაგირს ბაგირი — შორჩა და გათავდა... მაშინ ეჩქარებოდათ გზის მშენებლებს და ვერ მოიფიქრეს.

იგორი ყურადღებით უსმენდა, ხმის არ იღებდა. მერე ეითხა:

— თუ ეს სატექნიკი ჩართო ამ ჩაგვეთვლება, რაღაზე ვიწველოთ?

იავოლინმა შებოლნიერებულად — რა შუაშია ჩარჩაპა...  
— უნდა ვუწველოთ.  
— მაშ, მშვიდობით, პირველო აღვილო?

— მომეშვი! — ხელი აუქნია იავოლინმა და გრიგორი ფედოროვიჩს მიუბრუნდა:  
— ვცადოთ?

უფროსმა სკობცოვმა გაიღიმა:  
— ვცადოთ. იგორ, წამოხვალ ჩვენთან?

თხუთმეტი წუთის შემდეგ საწყობთან ღია ნარიჩისფერი ტრაქტორი გამოვიდა. ტრაქტორი ნელა მიდიოდა, მაგრამ ბიჭებს ეჩვენებოდათ, ქარზე უსწრაფესად მიჰქრისო.

სატექნიკის ამოთრევა ძნელი საქმე გამოვდა. მაგრამ როგორც კი მთახერხეს ბაგირის დაგრილება და საიმიელ ჩაბმა, ტრაქტორმა მოძლავრად გაიწვია და სატექნიკი ამოათრია.

სკოლაში მაშინ მივიდნენ, როცა შაბათობა მთავრდებოდა და ავტორიტეტული კომისია შეჯიბრების შედეგებს აჯამებდა. ტრაქტორის რაზმითა და დაჯანგული სატექნიკის პირილით შემკრთალი კომისიის წევრები რალაცს უხსნიდნენ სკოლის დირექტორს.

— აი, კიდევ ერთი რკინა! — მამართა მასწავლებელს გრიგორი ფედოროვიჩმა, ძრავა გამორთო და კბინიდან გადმოხტა.

— სეროთულად ამბობთ? — იეტხა დირექტორმა.

— მაშ! ბავშვებმა მდინარის პირას იპოვეს, გზის მშენებლებს დაჩენილათ, — ანიშნა ალიოშასა და





პათონალი მემკვიდრეობი

მ ზ ე ს

როგორ არ გიმღეროთ მოვლდრევი მნათობს. შენ ხარ ჩვენი ნატვრა, თავს გვანვიმს თუ გვათოვს. სიხარულით გვმოსავ, დედასათოთ გვათობ!

ყველას გულში ანთებ სიყვარულის კოცონს; შენ აცოცხლებ ყოველს, სხივებდასაკონო!

წარმოდგენაც არ გვსურს უშუნიშის, კარგო. მუდამ ანათებდე, ძალა არ დაკარგო!

ყველას ერთნაირად გვიღობი და გვათობო. როგორ არ გიმღეროთ მოვლდვრივე მნათობს!

სუსუი ხჩ თუ--ქ

რასაც თვალით ვასცქერი, მთაა, ტყე თუ ჩანჩქერი, — მინდორ-ველი, ბაღები, ზერები, იალღები — ჩვი ჩვენი მხარეა, ჩვენი მამულ-დედული, შენ კი მისი შვილი ხარ, იყავ უწილი ერთგული! გული უწდა გიმღერდეს სწავლა-შრომით ვართულს. ჩვილივით მოეფერე ტკბილ მშობლიურ ქართულს! სხვის ოკრო-ვერცელს გერჩიოს შენი ბუხრის ნაცარი. შეინახე საუნჯედ, შენს მამულში რაც არის! დააფასე სხვა ერი, იყავი გულნათელი. აი, მამინ იქნები ქეშმარიტი ქართველი! ჰოდა, თუ ხარ ქართველი, ასული ხარ თუ--ქ, არ მოშალო, აშენე მშობლიური ფუძე.

ეგორზე. — ხომ არ უნდა გავფუქებულოყო? ტყუილად იყანგებოდა.

— თქვენ რა, მართლა ჭართოდ მოიტანეთ?

გრიგორი ფედოროვიჩს ვაეცინა: — ბავშვებს ჭერ ჭართი ეგონათ, მაგრამ მერე გაერკვნენ, რაშიც იყო სასქე. რაიონში უნდა დავრეკოთ, შევადეკობინოთ, რომ სატყეპნი ამოყვანილია. მოვიდნენ და წაავგორონ.

შაბათობის შედეგად ნანატრი საგზური მე-7-ბ კლასმა მიიღო, მაგრამ იავოლკინს ეს არ სწყენია.

— არა უშვას. სამაგიეროდ, სატყეპნი ამოვაართეთ.

მაგრამ მაინც, ეზოში დაყენებულ ვეება მანქანას რომ ჩაუვლიდა, გაიფიქრებდა: აქს რომ ჭართი ყოფილიყო, ხომ ნამდვილად გავიმარჩვებოდი!"

...გაიარა რამდენიმე დღემ. მალე მთელმა დაბამ გაიგო, რომ მოსწაველებმა ჰაობიდან საგზაო სატყეპნი ამოათრიეს. ერთხელ, მისის ბოლოს, სკოლაში უცნობი ხალხი მოვიდა.

იავოლკინი და სკობკოვი ამ დროს ალგებრის გაეკეთილზე იხსენენ. მაიმეატკიის კაბინეტის კარზე დააკაქუნეს.

— იავოლკინი და სკობკოვი დირექტორთან!

ლევ ნიკოლაევიჩის კაბინეტში ორი უცხო მამაკაცი იჯდა; ერთი — მალაი და გამხდარი, მეორე — მსუქანი, შუა ტანის, სათვალანი.

— აი, გმირებიც მოვიდნენ! — მიესალმა მალაი. — აბა ერთი გვიამბეთ, სად იპოვეთ სატყეპნი?

— მდინარე ჩორნაისთან, — ოღნავ ჩახრინწული ხმით უხასუხა ალევებებულმა ალიოშამ. — მოსახვევთან.

— გასაგებია. ჩვენი მანქანაა, გენდი ილიჩ, — შეაწყვეტიხა იავოლკინს მეორე უცნობა და გაიღმა: — ყოჩად, ბავშვებო! ჩვენ მხოლოდ ერთი თვის შემდეგ ვაპირებდით მანქანის ამოყვანას, თქვენ კი დავასწართო.

— როგორ მოახერხეთ, რომ ამოათრეთ? — იკითხა გენდი ილიჩმა და ეშმაკურად გადახედა სათვალანს.

— გასაგებია, ხელით ვერ მოერეოდი, მაგრამ იმ ჰაობში ტრაქტორსაც გაუქურდებდა მობრუნება.

— გრძელი ბავირით... ძია გრიშამ..

— რომელმა ძია გრიშამ?

— იგორ სკობკოვის მამამ. ბავირი ბავისი გამოაბა — ორომდე ტრაქტორამდე გამოვიდა და პირდაპირ ფერდობიდან ექაჩებოდა. გზატკეცილზე რომ გამოიყვანა, ბავირი დაამოკლა, ისე, რომ სატყეპნის წინა თვალთ თითქმის ტრაქტორის მუხლუხს ეხებოდა. აი ასე მოვიყვანეთ სკოლამდე.

— გმადლობთ, ბიჭებო. ოლეგ ეფემოვიჩ, — მიუბრუნდა თავის თანმხლებს გენადი ილიჩი, — სატყეპნი სასწრაფოდ უნდა გარემონტდეს და გაიგზავნოს ჩრდილოეთ უბანზე, ძალიან სჭირდებათ.

საუბარში სკოლის დირექტორი ჩაერია.

— ბიჭებს თავდაპირველად ჭართი ეგონათ — ტურისტული საგზურისათვის იბრძოდნენ. შაბათობა გვექონდა და...

— რა საგზურისათვის?

— გამარჩვებული კუნგუტის ყინულოვანი გამოქვაბულის ტურისტული საგზურით ჭილდოვდებოდა.

— გასაგებია, — თქვა გენადი ილიჩმა. — რა ჰქენით, ვაიმარჩვებო?

იავოლკინმა თავი ჩაქინდრა:

— ვერა.

— გასაგებია. ოლეგ ეფემოვიჩ, მე ვფიქრობ, საქმე უნდა გამოსწორდეს: ტურისტული საგზური ამათვისის...

— მე-7-ა კლასისათვის, — უკარნახა დირექტორმა და ეშმაკურად გადახედა კაბინეტში მყოფთ.

— დაახ, მე-7-ა კლასისათვის საგზური ნამდვილად კარგი ჭილდო იქნება სახალხო დოვლათისადმი მათი ასეთი პასუხისმგებლური დამოკიდებულების გამო.

— ჩვენი, საგზაო სამმართველოდან, არა? თანახმა ვარ! — მხიარულად უხასუხა ოლეგ ეფემოვიჩმა და ბავშვებს გადახედა. მათ სახეები უბრწყინავდათ.



# სპილოები თითქმის კავშირებით აქვინს

ერთხელ, უგანდის ეროვნული პარკის მიმდებარე ველზე მანქანით რომ მივდიოდით, შევინაშეთ დედალი სპილოები, თავიათი პატარებით. ისინი ღინჯად იხედებოდნენ აქეთ-იქით, ყურებს აფართოებდნენ და არაერთხელ ყურადღებას არ გვაქცევდნენ. ჩემმა თანამგზავრმა — ნაკრძალის მცველმა მანქანა გააჩერა, რომ არმდინებ სურათი გადაეღო. უცებ ვეება დედამა სპილომ ყურები ცქეცია, ბრაზიანად გაიქნია თავი, დაიღრიალა და ჩვენსკენ გამოეჭანა. სულ რამდენიმე მეტრის მანძილზე ჩავვირბინა.

— რა მოუვიდა? — ვიკითხე მე, — სულ ახლახან რა მშვიდი ჩანდა!

— ვინ იცის! უთუოდ თავი მოაბეზრეს მონადირეთა მანქანებმა, ან იქნებ მწერები აწუხებენ — მაგათ ხანდახან სიგიჟემდე მიპყავთ სპილოები, საერთოდ კი, როცა სპილოებთან გაქვს საქმე, წინასწარ არაფერი არ შეიძლება დარწმუნებოდი იყო. ადამიანებზეთ არიან — ვერაფერს გაუგებ, — დასძინა მცველმა.

წლების მანძილზე ვსწავლობდი ამ ცხოველების ქცევას მე, და საკმაოდ ხშირად შემინიშნავს, რომ სპილოები და ადამიანები ზოგიერთი ზნით ჰგვანან ერთმანეთს. ერთხელ მონა-

დირებმა მიამბეს, როგორ დაეხმარა ორი სპილო მესამეს — დაჭრილს. მათ ეშვებით წამოაყენეს დაცემული დაჭრილი სპილო, შემდეგ ორივე მხრიდან ამოვდნენ, თითქმის ზედ აეკრნენ და ასე ვასწიეს დაბრუნული შამანარისაკენ. ცხოველების კვალდაკვალ მიმავალი მონადირეები ხედავდნენ, რომ დაჭრილი სპილო გზაში რამდენჯერმე დავარდა, მაგრამ ამხანაგებმა ისევე წამოაყენეს. ასეთ ყოფაში გაიარეს მათ დახსოვებით ხუთი კილომეტრი, შემდეგ კი, როგორც ჩანს, დაჭრილმა თავი უკეთ იგარძნო, სამივე უკან მობრუნდა და მალე სპილოების ჯოგს შეუერთდნენ.

სპილოები ძალიან გონიერები არიან. ერთხელ სპილოების ჯოგი მონადირეთა ბანაკის ახლოს ხილის ბაღს შეეჩვია. გადავწყვიტეთ ბაღისთვის მავთულხარბი შემოგვევლო. მაგრამ სპილოებმა მავთულის ბაღე გავლიჯეს. ღობე აღვადვირეთ და შიგ ელექტროდენი გავატარეთ. ჭკვიან ცხოველებს სულ სამიოდე ლამე დასკირდათ, რომ საქმის ვითარებაში გარკვეულობენ. ისინი მიხვდნენ, რომ ღობეში დენი მხოლოდ მაშინ გადიოდა, როცა ბანაკში სინათლე ენთო. და ერთ ღამეს ისევე გადაქელეს ღობე. მაშინ გადავწყვიტეთ გენერატორი — სინათლის წყარო ღამითაც გვემუშავებინა. სპილოები ღობის გასწვრივ მიმოდიოდნენ და ეშვებით მსუბუქად ეხებოდნენ მავთულს. ახლა იმას მიხვდნენ, რომ ეშვები მგონობიარე არ იყვნენ ელექტროდენის მიმართ. ამის შემდეგ ისლა დავეჩვენოდა, პაერსი თოფის სროლით მოვეწვრიებინა ისინი.


როცა მირჩინოს ფოლის ეროვნულ პარკში ტურისტებისათვის პატარა სახლების მშენებლობა, ვაფუქვებს, დურგლებს არაერთხელ **სამუშაოსათვის** თავის მინებება და გაქცევა. საქმე იმაშია, რომ მათ თავს ესხმოდა სამტონიანი გიგანტი, მამალი სპილო, რომელსაც ლორდ-მერი შეარქვეს. ეტუბოა, იგი ამ ტერიტორიის თავის საუფლად თვლიდა.

მშენებლობა დამთავრდა, მაგრამ სპილო მაინც არ სცილდებოდა აქვრობას, თუმცა ახლა უკვე კეთილად იყო განწყობილი და სურათების გადაღებასაც კი ანებებდა იქ მყოფთ. ერთხელ უჭკიარ, წყნარ ღამეს, როგორც ჩანს, ადგილობრივი ლუდის „პომბეკ“ სუნი იყრა, რომელსაც მისი საყვარელი ნუგბარი ხილის ბანანის გემო აქვს, და იმ სახლს, საიდანაც ეს სუნი სცემდა, სახურავი ააგლიჯა; მერე ერთიმეორის მიყოლებით ბრუნებტი შემოგალიჯა ტურისტების მანქანებს, მაგრამ გაწვილდა, ბანანი ვერსად ნახა.

ყენის ერთ-ერთი ეროვნული პარკის — ამბოსლის ახლოს ცხოვრობდა სპილო, რომელსაც იუმბორის გრძობა ჰქონდა. მას უყვარდა შამანარში ჩასადგება იმ ადგილას, სადაც სამაქნაო გზა მკვეთრად უხვევდა. როცა მანქანა გამოჩნდებოდა, იგი მრისხანედ გაშლიდა ყურებს და ყურისწამლები ღრიალით გზაზე გამოვარდებოდა, მგზავრებს დააფეთებდა, მერე კი შებრუნდებოდა და წვივდოდა, ოღონდ დროდრო უკან იხედებოდა და ამ დროს ამ გიგანტს პატარა თვლებში ღიმილი უთამაშებდა.







კუნ ელიზბეტის ეროვნულ პარტი, სადაც ტურისტებს ნება აქვთ გაჩერდნენ და სპილოს ჯოგების ყურებით დასტკბნენ, მე ასეთი ლირიკული სცენის მოწმე ვაგხვდი. ლეიკ-დედარის ტბის ვაღმა ნაპირზე ბუჩქნარიდან გამოვიდა ახალგაზრდა მამალი სპილო. უმაღლესი ჯოგს გამოეყვინა დედის და თავდადებულად წავიდა მის შესახვედრად. ერთმანეთს რომ მიუახლოვდნენ, მათ ნახად ვადაქედეს ხორთუმები ერთიმეორეს შემდეგ მამალმა ძირიანად მოთხარა ცვირანი ბალახის მთელი კონა, კარვად დაბერტყა და „თაიგული“ თავის მგვობარს მიართვა. ამ უკანასკნელმა კი უტეხ პირში იკრა. აი, ასე, ერთ-მანეთზე ზრუნვაში გაატარებენ ისინი ერთ კვირაზე მეტს. რამდენიმე ხნის შემდეგ დედალი სპილო იწყებს ხანშიშესულობის დედალის ძებნას, რომელიც მას ჯერდრიდან არ მოსცილდება პატარა სპილოს გაჩენამდე.

პატარა 22 თვის შემდეგ იბადება, ახალშობილი დაახლოებით 100 კილოგრამს იწონის. გაჩენიდან ერთ-ორ საათში იგი ფეხზე დგება და სულ მალე დამოუკიდებლად იწყებს სიარულს.

ზხრი, თითქოს პატარები ხორთუმით წოვენ უმართებულთა. ისინი პირთ წოვენ, ხოლო ხორთუმი ამ დროს გვერდზე აქვთ გაწეული.

სპილოების დამოკიდებულება შთამომავლობისადმი ადამიანურად გერმობიარია.

ერთხელ დღისით კასინგის არხთან ვნახეთ თიხი დედა სპილო ხუთი პატარათი. როდესაც ერთმა ჩასკუქებულმა პატარამ სცადა ხრამით არხისპირას ჩასულიყო, დედა სპილომ გამაფრთხილებლად დიდრიბალა. მაგრამ ურჩმა პატარამ არად ჩააღო ეს გაფრთხილება და დინჯად განაგრძო ციკაბო კიდზე სიარული. უცებ ფეხქვეშ მიწა ჩაეშალა და წყალში ჩავარდა.

დედა სპილოები ერთხანს გაირიზნენ. ყური მიუგდეს და როცა პატარას ხმა შემოესმათ, მის საშველად თავდადებულად დაესვენენ ამ ციკაბოზე. პატარამ წყლის ზედაპირზე კი ამოყვინთა, მაგრამ ისე იყო დამფრთხალი, რომ დაუხმარებლად

ნაპირზე ვერ გამოაღწევდა. მაშინ რომა დედალმა სპილომ ნაპირთან ჩამოხლბა, ორი დანარჩენი კი წყალში დომად შევიდა. მალე აფართობილებული პატარა მათ შორის აღმოჩნდა. სპილოებმა მუცელზე ფრთხილად ამოსდეს ხორთუმები ორივე მხრიდან და ასე ციმციმ გადსაცეს ნაპირთან მდგომ სპილოებს, რომელთაც პატარა ნაპირზე ამოეყვანეს. დედა სპილომ შვილი თავისკენ მიიწია, ხორთუმით ფრთხილად გაუსინჯა მუხელი ტანი და როცა დარწმუნდა უვნებელიყო, კარგა მგზრად მდსცხო ხორთუმი და წყლის ნაპირს მოაშორა.

ერთხელ მიამბეს მერჩისონ-ფოლის ეროვნულ პარკში მომხდარი შემთხვევა, პარკის ზედამხედველს დაუნახავს დედალი სპილო, რომელსაც ეშვეზე დასვენებული მოჰყავდა ახალშობილი. სპილო გაჩერებულა და ტვირთი ფრთხილად დაუშვია მიწაზე. პატარა სპილო მკვდარი ყოფილა. საბრის განმავლობაში დედა სპილოს ასე დაჰყავდა მკვდარი შვილი და მიწაზე მხოლოდ მაშინ დებდა, როცა წყურვილის ატანა აღარ შეეძლო. შემდეგ იგი მარტო უნახავთ. რამდენიმე დღე უძარვად მდგარა ხის ქვეშ და თურგებ მრისხანე ხმას გამოსცემდა, როგორც კი ვინმე გაბედვად მიახლოვებას.

